

ეროვნული საბჭო.

სტენოგრაფიული ანგარიში.

39 სხდომა.

საშაბათი, სექტემბრის 17, 1918 წ. ტფილისი. სსსხდგ.

თავმჯდომარეობს საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე.

მდივნობს საბჭოს მდივანი დავით ჩინაძე.

პრეზიდიუმში არიან, თავმჯდომარის ამხანაგი იესე ბარათაშვილი კეჭთაშვილი თაყაიშვილი და მდივნის ამხანაგი იოსებ აბუკელია.

კრება იხსნება 12 საბთსა და 20 წუთზე.

თავმჯდომარე. კრება გახსნილი გახლავთ. გთხოვთ წაიკითხოთ განცხადება.

დ. ჩინაძე (კითხულობს):

დამოუკიდებელი ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის განცხადება.

ეროვნულ საბჭოს ბრძენადიუმს.

ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის გაყოფის გამო და მთავარი კომიტეტის 7 წევრის მიერ „დამოუკიდებელი სციონალ-დემოკრატიული მთავარი კომიტეტის“ დაარსების გამო ეროვნულ საბჭოს ნაციონალ-დემოკრატიული ფრაქციის 6 წევრი (ვეშაპელი გრაგოლ, წერეთელი ვასილ, ვაჩხაძე დავით, გაბაშვილი ტყეპა, მანაბელი მისეილ, ქარუმიძე შადვა) აცხადებს თავის თავს „დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატიულ საპარლამენტო ფრაქციად“.

დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატიულ ფრაქციის თავმჯდომარე გრაგოლ ვეშაპელი.

მდივანი ტყეპა გაბაშვილი.

(საბჭო ცნობად იღებს ამ განცხადებას).

თავმჯდომარე. გთხოვთ წაიკითხოთ კომისიებში გადასაცემი კანონ-პროექტები და დღიური წესრიგი.

დ. ჩინაძე (კითხულობს) სია კომისიებში გადასაცემ კანონ-პროექტებისა

1 კანონ-პროექტი 1909 წ. მარტის 18 კანონით დანიშნულ პენსიათა და შემწეობათა გაუქმების შესახებ.

საბჭო აღგენს კანონ-პროექტი გადაეცეს აუდიტორულ კომისიას.

2, — კანონ-პროექტი — საფუთო გადასახადისა საქონელზე.

საბჭო აღგენს კანონ-პროექტი გადაეცეს საფინანსო კომისიას

3, — კანონ-პროექტი საკანცელიარო გადასახადისა,

4, — კანონ-პროექტი საწყობში საქონლის და მარკის შესახებ გადასახადისა.



საბჭო ადგენს კანონ-პროექტი გადაეცეს საფინანსო კომისიას.

5.—კანონ-პროექტი შავი ქვის გადასახიდ ტარიფის შესახებ.

საბჭო ადგენს კანონ-პროექტი გადაეცეს საფინანსო კომისიას.

6.—კანონპროექტი სახელმწიფო ქალაღების მბეჭდავ ექსპედიციის 1918 წ. ხარჯთ-აღრიცხვისა.

საბჭო ადგენს კანონპროექტი გადაეცეს საფინანსო კომისიას.

7.—კანონპროექტი—საქართველოს წყლების გამოყენების შესახებ.

საბჭო ადგენს კანონპროექტი გადაეცეს საგარო და საფინანსო კომისიას.

8.—კანონპროექტი ყოფილ ვერძოტყეების ექსპლოატაციის შესახებ.

საბჭო ადგენს კანონ-პროექტი გადაეცეს საგარო და საფინანსო კომისიას.

საბჭო ამტკიცებს ამ სიას.

დ. თინათინაძე. კითხულობს: დღიური წესრიგი.

1. საბოლოო ტექსტი კანონისა საფოსტო-სატელეგრაფო და სატელეფონო გადასახადების გადიდებისა.

2. საბოლოო ტექსტი კანონისა სპეკულიაციასთან ბრძოლისა.

3. საბჭოს წევრის აღ. ახმეტელის შთაერობისადმი შეკითხვა პურისა და სანოვავის სიძვირის ნიადაგზე წარმოებულ აგიტაციისა შთაერობის წინააღმდეგ.

4. კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკის ღერბის შესახებ.

5. კანონპროექტი მომრიგებელ ინსტიტუტის შესახებ.

6. კანონ-პროექტი წინამძღვრიანთ კარის სამეფურნეო სკოლის სახელმწიფო სკოლად გამოცხადებისა.

საბჭო უცვლელად ამტკიცებს დღიურ წესრიგს.

თავმჯდომარის განცხადება.

თავმჯდომარე. დღიურ წესრიგში შეტანილი ვახლდათ მუხლი ბონების გამოცემის შესახებ.

ცნობა გვაქვს, რომ საფინანსო კომისია სამჯერ იყო მოწვეული სწორედ ამ საკითხის განსახილველად, მაგრამ სხდომა ამ საფინანსო კომისიისა არც ერთხელ არ შემდგარა. ნება მიბოძეთ მოგავიწოდოთ, თუ ვინ შედის ამ კომისიაში წევრებად: თოფურაძე, ქიქოძე, ასათიანი, ნიკოლაძე.

როგორც ხედავთ, ზოგიერთი ამ პირთაგანი არ არის აქ, თბილისში, მაგრამ უმეტესი ნაწილი აქ უნდა იყოს.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ კომისიის მუშაობა მძიმე და რთულია და ძალიან საჭირო საქმეებია გადასაწყვეტი. სამჯერ კომისიას უწოდებს თავმჯდომარე, და შეუძლებელი ხდება, რომ კომისიამ სხდომა მოახდინოს. ასეთი მდგომარეობა უმეტეს და უდიდეს კომისიისა მეტად ანორმალურია. ამიტომ ვახოვ ამ კომისიის წევრებს, პრეზიდიუმის სახელით რომ მიიღონ ზომები, რათა ამ კომისიამ სათანადოდ აწარმდგოს თავისი მოვალეობა და საქმეები.

როგორც, მდივანმა მოგახსენათ, ამ კომისიას გადაეცა რამდენიმე კანონ-პროექტი, და თუ ასეთ ნაირათ იქნება მუშაობა ამ კომისიაში, იგი ვერც ერთ საკითხს ვერ გამოიკვევს და ვერ გადასწყვეტს.

ამიტომ მოუწოდებ წევრთ ამ კომისიისას, მიიღონ ზომები, რომ ამ კომისიამ იმუშაოს ისე, როგორც მოითხოვს საჭიროება.



ჩვენ ეხლა ვადავდივართ საბოლოო რედაქციის შესწორებებს შესახებ. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ამირეჯიბს.

საბოლოო ტექსტი კანონისა საფოსტო, სატელეგრაფო და სატელეფონო გადასახადების გადადებისა.

შ. აშარევაია. (ერ. დემ.) საბოლოო ტექსტი ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ტარიფების გადიდების შესახებ.

1. მუხლი. ამ მუხლში თითონ საბჭომ შეიტანა ზოგიერთი შეწორებანი. სარედაქციო კომისიას სხვა შესწორება არ შეუტანია გარდა სიტყვების გადასხმისა. მუხლი ასეა მიღებული: არსებული გადასახადი ტელეფონით სარგებლობისათვის დაწესებულ გადიდებულ იქნეს თანახმად ნიხრისა, რომელიც ამ კანონთან არის დართული.

შეხვედი 2. არსებული გადასახადი საფოსტო და სატელეგრაფო შინაგან კორესპონდენციებისათვის დაწესებულ აღიდებულ იქნეს თანახმად იმ ნიხრისა, რომელიც ამ კანონთან არის დართული.

შევცვალეთ ამნაირად.

2. აწინდელი ფასი საფოსტო და სატელეგრაფო შინაგან კორესპონდენციებისათვის დაწესებული, ამა 1918 წ. ოქტომბრის პირველიდან, — გადიდებულ იქნეს თანახმად იმ ნიხრისა, რომელიც ამ კანონთან არის დართული.

ჩვენ, როგორც ყოველთვის, ახსებუდას მაგიერ ვინმარეთ აწინდელი. გადასახადის მაგიერ დაწერეთ ფასი.

თავმჯდომარე: ვინ არის წინააღმდეგი ამ შესწორებებისა? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

ნიხრი ტელეფონით სარგებლობისათვის გადასახადისა.

ა) ა. კერძო ბინებში მოწყობილ ტელეფონისათვის, რომელიც დაშორებულია ტელეფონის სადგურს არა უმეტეს ორი ვერსისა 240 მ. უცვლელადაა მიღებული.

ბ) სახაზინო და საზოგადო დაწესებულებაში, აგრეთვე საზოგადო სახმარებლად მოწყობილ ტელეფონისათვის, რომელიც დაშორებულია ტელეფონის სადგურს არა უმეტეს ორის ვერსისა, წლიურად 300 მ.

აქ ჩვენ შევხვალეთ საზოგადო დაწესებულებაში, საზოგადოებრივ დაწესებულებად.

მუხლი ასე მივიღეთ: ბ. სახაზინო, და საზოგადოებრივ დაწესებულებაში, აგრეთვე საზოგადო სახმარებლად მოწყობილ ტელეფონისათვის, რომელიც დაშორებულია ტელეფონის სადგურს არა უმეტეს ორის ვერსისა 300 მ.

გ.) საბჭოს მიერ ასე გახლდათ მიღებული:

გ) ტელეფონისთვის, რომელიც ზემოხსენებულ ა) და ბ) მუხლშია მოხსენებული, მაგრამ დაშორებულია სადგურს ორ ვერსზე უმეტეს, ზემონაჩვენებ გადასახადის გარდა გადახდება მათეულას ყოველ ჩასს საყენზედ წლიურად — მანეთი — ეხლა 12 მანეთი.

ჩვენ აქ სიტყვა მოხსენებულა შევცვალეთ სიტყვით აღნიშნული, გადასახადის მაგიერ ვინმარეთ ფასა საერთოდ მუხლი ასე შეიტყვალა:



გ. ტელეფონისთვის, რომელიც ზემოხსენებულ ა. და ბ. მუხლებში აღნიშნული, მაგრამ დაშორებულია სადგურს ორ ვერსის უშორეს ნაჩვენებ ფასის გარდა გადახდება მავთულის ყოველ ას საფენზე 12 შ.

თავმჯდომარე, ვის მსურს სიტყვა ამ შესწორების შესახებ? არავის. მაშასადამე მიღებულია.

შ. აპირეჯაბა. (კითხულობს) ტელეფონის აპარატის გადატანისათვის. პირველი მუხლი უცვლელად გახლავთ მიღებული: ა. ერთის შენობიდან მეორეში ტელეფონის სადგურიდან ორი ვერსის რაიონში 60 შ.

მეორე მუხლი საბჭოს მიერ ასე გახლდათ მიღებული:

ბ. ერთის შენობიდან მეორეში ტელეფონის სადგურიდან ორს ვერსზე უშორეს მანძილზე, ნამდვილად გაწეული ხარჯის მიხედვით, მაგრამ არა უმცირეს 60 შ.

ჩვენ შევცვალეთ: ბ. ერთის შენობიდან მეორეში ტელეფონის სადგურიდან ორი ვერსის უშორეს მანძილზე, ნამდვილად გაწეული ხარჯის მიხედვით, მაგრამ არა უმცირეს 60 შ.

შემდეგი ორი მუხლი უცვლელად გახლავთ მიღებული: ერთი ოთახიდან მეორეში ერთსა და იმავე სართულში 20 შ, დ. ერთი ბინიდან მეორეში ერთსა და იმავე შენობაში, მაგრამ სხვა და სხვა სართულში 60 შ.

საბჭოს მიერ შემდეგი მუხლი ასე გახლავთ მიღებული:

ტელეფონის აპარატის ხელახლა დადებისათვის (ახალ აბონენტის მიმატებისათვის) აგრეთვე დამატებითი აპარატის დადებისათვის ზემოთ ნაჩვენებ ნიხრის გარდა, აბონენტს ერთდროულად 60 შ.

საბჭოს მიერ მიღებულ ტექსტში არის ასეთი წინადადება: ტელეფონის აპარატს ხელახლად დადებისათვის. სარედაქციო კომისიამ შესცვალა სიტყვა დადებისათვის სიტყვით დადგმისათვის. მთელი მუხლი ასე შევცვალეთ: ტელეფონის აპარატის ხელახლად დადგმისათვის, ახალი აბონენტის მიმატებისათვის, აგრეთვე დამატებითი აპარატის დადგმისათვის ზემო ნაჩვენებ ნიხრს გარდა, აბონენტს ერთდროულად გადახდება 60 მან.

შემდეგ მუხლში უბრალო სტილისტური შესწორებანი არის შეტანილი: ადგილობრივ ტელეფონის ქსელის ფარგალში სალაპარაკო ადგილიდან, ან აპარატებიდან ლაპარაკისათვის საქალაქთაშორისო და სანახებთაშორისო ტელეფონით სამი წამის განმავლობაში ჩვეულებრივის ლაპარაკით 5 მან. 70 კაპ.

შემდეგი მუხლი საბჭოს მიერ ამ სახით იყო მიღებული: ადგილობრივ ტელეფონის ქსელის ფარგალში სალაპარაკო აპარატებიდან სასწრაფო ლაპარაკისათვის საქალაქთაშორისო და სანახებთაშორის ტელეფონებით ყოველ 3 წამს ლაპარაკისათვის ჩვეულებრივზე მეტი სამი წილი გადასახადი 17 მან. 10 კაპ.

აქ ნათქვამია ჩვეულებრივზე მეტი სამი წილი ფასი. სარედაქციო კომისიამ შესცვალა: ჩვეულებრივზე ერთი სამად მეტი ფასი. ასეთივე შესწორება შევიტანეთ შემდეგ მუხლში: ადგილობრივ ტელეფონის ქსელის ფარგალში სალაპარაკო აპარატებიდან სასწრაფო ლაპარაკისათვის საქალაქთა-შორისო და სანახებთა-შორისო ტელეფონებით ყოველ 3 წამის ლაპარაკისათვის ჩვეულებრივზე ერთი სამად მეტი ფასი 17 შ. 10 მ.

წინააღმდეგობა, განსაზღვრული დროით, აგრედვე მონდო-



ბილბობით ლაპარაკისათვის ესეთივე ფასი როგორც სასწრაფო კისათვის ერთსამად ჩვეულებრივზე მეტი.

სამხ. გადასახ. ტელეფონზე. 20 მან.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი ამ შესწორებებს არაივინ. მაშასადამე შესწორებები მიღებულია. შემდეგ.

შ. აშარვაძე: (კითხულობს):

ნისრი შანგან საფისტო და სტატეგრაფო კორესპონდენტებისა.

საჭიროდ ვრაც მოგახსენოთ, რომ აქ მხოლოდ სიტყვები არის გადასული. აზრი არ არის შეცვლილი. ამიტომ არ არის საჭირო, რომ ყოველივე ეს შესწორება, რომელიც მოხდა სიტყვების გადასმით ცალკე წაეკითხო. ნება მიბოძეთ ერთად წაგიკითხოთ მუხლები.

1. ბანდეროლი ბეჭდვითი ჩაწარმოებისათვის. 15 გრამზე 2 კაბ. და უმცირესი გადასახადი ორი შაური, როგორც ადგილობრივ ჩაბარებისა, ისე სხვაგან გასაგზავნისათვის.

2. ბანდეროლი საქმის ქაღალდებისათვის. 15 გრამზე ერთი შაური და უმცირესი გადასახადი ათი შაური ადგილობრივ ჩასაბარებელისათვის, ხოლო ორი შაური 15 გრამზე და ხუთმეტრი შაური უმცირესი სხვაგან გასაგზავნისათვის.

3. ბანდეროლი საქონლის ნამუშევრებისათვის. ერთი შაური 15 გრამზე და უმცირესი გადასახადი ათი შაური ადგილობრივ ჩასაბარებელისათვის, ხოლო ორი შაური 15 გრამზე და თოთხმეტრი შაური უმცირესი სხვაგან გასაგზავნისათვის.

4. დაწერილი. ადგილობრივ ჩასაბარებლისა ერთი აბაზი და სხვაგან გასაგზავნის ორი აბაზი, ხოლო პასუხგადახდილისა, როგორც ადგილობრივ ჩასაბარებლის, ისე სხვაგან გასაგზავნისა ერთი-ორათ მეტი.

5. დახურული უბრალო წერილი ადგილობრივ ჩასაბარებელს. ერთი შაური თვითთულ 30 გრამზე, ხოლო უმცირესი გადასახადი ორი აბაზი.

6. დახურული უბრალო წერილი სხვაგან გასაგზავნის. სამი აბაზი თვითთულ 15 გრამზე.

7. მასალატი სდარბაზო ბარათი. ადგილობრივი ჩასაბარებლის 15 გრ. ერთი შაური და უმცირესი გადასახადი ორი აბაზი, ხოლო სხვაგან გასაგზავნის 15 გრამზე სამი შაური და უმცირესი სამი აბაზი.

8. დახურული წერილი, რუსები რომ იტყვიან „заказное письмо“ წონის ფასი, იგივე რაც უბრალო წერილისა, დასაზღვევი კი როგორც ადგილობრივ ჩასაბარებლისა ისე სხვაგან გასაგზავნისა თოთხმეტრი შაური.

9. ფასიანა წერილები ადგილობრივ ჩასაბარებელს.

ადგილობრივ ჩასაბარებელი ვახლავთ, როდესაც თბილისიდან თბილისში იგზავნება;

გადასაგზავნი ვახლავთ, როდესაც თბილისიდან გზავნით გარეთ. საბჭოს მიერ მიღებულ ტექსტში ვახლავთ ფასიანი წერილები. წონის ფასი იგივე რაც დახურულ უბრალო წერილისა, დასაზღვევი კი ერთი პროცენტი ნაჩვენებ ფასის როდენობისა, და უმცირესი გადასახადი თოთხმეტრი შაური.

ჩვენ შევასწორეთ ფასიანი წერილები ადგილობრივ ჩასაბარებელს. წონის ფასი იგივე, რაც დახურულ უბრალო წერილისა, დასაზღვევი კი ერთი პროცენტი ნაჩვენებ ფასის როდენობისა, და უმცირესი გადასახადი თოთხმეტრი შაური.



შემდეგი მუხლი უცვლელად არის მიღებული ფასიანა: სხვაგან გა-
საგზავნი წერია. წონის ფასი იგივე, რაც უბრალო დახურული
ლასა, ხოლო დასაზღვევი ერთი პროცენტი ნაჩვენები ფასის რაოდენო-
ბისა და უმცირესი გადასახადი თითხმეტი შაური.

დნარჩენ მუხლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეგვიტანია
ამიტომ წაგიკითხავთ პირდაპირ მიღებულ ტექსტს.

11. ფულას ბარათი. ნახევარი პროცენტი გასაგზავნი ფულის რაო-
დენობისა, ხოლო არა ნაკლებ ათი შაურისა.

12. გაგზავნილის მიღების შეტყობინება ადგილობრივად. ერთი აბაზი
თითო გასაგზავნისათვის.

13. სხვაგან გაგზავნილის მიღების შეტყობინება. ორი აბაზი თითო
გაგზავნისათვის.

14. ადგილობრივი გაგზავნილის მოძებნის თსოვნა. ათი შაური თითო
გასაგზავნისათვის.

15. სხვაგან გაგზავნილ კორესპონდენციის მოძებნის თსოვნა. ხუთმეტი
შაური თითო გასაგზავნისათვის.

16. საფოსტო კორესპონდენციის დაბრუნებისა, შეჩერებისა და მისამარ-
თის გამოცვლის თსოვნება. მანეთ ნახევარი თითო გასაგზავნისათვის.

17. შინ მიტანა საფოსტო ფულას ბარათისა და ფასიანი წერილისა.
500 მანეთამდე ერთი მანეთი.

18. საბანკოშენი უფრავით სარგებლობა. ტფილისსა და ქუთაისში
ორმოცი მანეთი, სხვა ადგილებში კი 25 მანეთი წლიურად.

19. უფასო ამანათი. წონის ფასი ას ვერსამდე ერთი აბაზი გირვან-
ქაში და უმცირესი გადასახადი მანეთ ნახევარი; ასი ვერსიდან ორასამ-
დე ხუთი შაური გირ. და უმცირესი გადასახადი ორი მანეთი; 200 ვერ-
სიდან 300-მდე ექვსი შაური გირ. და ხუთი მანეთი უმცირესი გადასახადი.

20. ფასიანი ამანათი. წონის ფასი იგივე, რაც უფასო ამანათისა,
დასაზღვევი კი იგივე, რაც ფასიანი წერილისა.

21. შინ მიტანა ამანათისა. ტფილისსა და ქუთაისში 7 გირვანქამდე
მანეთ ნახევარი, 7-დან 12-დე ორი მანეთი, სხვა ადგილებში კი 7-გირვ
ერთი მანეთი, 7-დან 12-მდე მანეთ ნახევარი.

22. ჰლომბის ან ლუქის ბეჭდის დასმა. ექვსი შაური თვითოეულში,
მიუხედავად იმისა ბლომბია თუ ბეჭედი.

23. ამანათის შესანახი ფასი. ათი შაური ყოველ დღეში თითოეულ
ამანათში, თუ მიმღებნი ქალაქის ფარგლებში ცხოვრობენ. ანგარიშში
არ ჩაიხველება ის დღე, როდესაც პირველი უწყებაა ჩაბარებული და
ის დიდი უქმე, რომელიც უწყების ჩაბარების დღეს მოსდევს, თუ იმ
უქმე დღეს ფოსტაში მუშაობა აკვეთილია. იმ შემთხვევაში კი, თუ
მიმღებნი სცხოვრობენ ქალაქ გარეშე, ან მახლობელ სოფელში, შესანა-
ხი ფასი უნდა გადახდეთ ამანათის მოსვლიდან ორი კვირის შემდეგ.

24. ფას დადებულად კორესპონდენცია. ორი პროცენტი დადებული
ფასისა და უმცირესი გადასახადი ერთი მანეთი.

25. დამატებითი ფასი იმ კორესპონდენციისათვის, რომლისთვისაც ფა-
სი ან სრულებით არაა გადახდილი. ან გადახდილია ჩაწილი. გადაუხდელი
ფასის ერთი ორად გადახდა.

26. გადაცემა და ჩაბარება დეკრეტებისა. ქალაქის ფარგლებში ხუთი
შაური თითო სიტყვა, ქალაქ გარედ კი ათი შაური; დამატებითი ფასი
და მისალოც დეკრეტებზე მომატებული ფასი გაუქმებულია.



27. სსსრკ-ის დეკრეტით. ფასი ერთი სამად მეტი.

28. სსსრკ-ის დეკრეტით გადაცემის შემოწმებით, ფასი ერთი ოთხჯერ მეტი.

29. დეკრეტებს გადაცემა შემოწმებით. ფასი ერთი ორად მეტი.

30. ფულის ბარათი დეკრეტით. ფულის ბარათის ფასი ნახევარი პროცენტი გასაგზავნი ფულის რაოდენობისა, რაგრამ არა ნაკლებ ათი შაურისა. დეკრეტით გადაცემის ფასი იგივეა, რაც ელირება ოც სიტყვიანი ჩვეულებრივი დეკრეტით.

31. დეკრეტით, რომელსაც გაგზავნის სახელმწიფო ბანკი, მისი განყოფილება, ხაზინა და ყოველი საკრედიტო და საზოგადო დაწესებულება შესაძლებელია პირთათვის რამე ფულისა ანუ ფასფულის მიცემის შესახებ და აგრეთვე ის დეკრეტით, რომელსაც ხელს აწერენ დაწესებულებათა მიერ რწმუნებულნი პირნი, იგივე რაც სსსრკ-ის დეკრეტისათვის.

32. ტელეგრაფის ჩაბარების დეკრეტით ცნობა. ათ სიტყვიან დეკრეტის ფასი.

33. რამდენიმე მასშარტითი დეკრეტის ზარების შედეგად, ერთი მანეთი თითოეულ 50 სიტყვაში, მიუხედავად იმისა დეკრეტის მიმღებს უნდა გაგზავნოს პირი, თუ გაგზავნელს მიეცეს თხოვნის თანახმად.

34. გაგზავნა დეკრეტისა შიგნითი ხელთ ტელეგრაფის სადგურის კარგად. სამი მანეთი თითო ვერსში და უმცირესი ფასი ერთი თუმანი.

35. ზარობითი და შემოკლებული მასშარტით საგადასახადო. ასი მანეთი წელიწადში.

36. ტელეგრაფით დეკრეტების გადაცემა და მიღება. სიტყვა ორი კპ. ხოლო უმცირესი ფასი ერთი მანეთი.

საბჭო უცვლელად იღებს კომისიის მიერ შემუშავებულ საბოლოო ტექსტს.

განხილვა საბოლოო ტექსტისა სპეკულიაციასთან ბრძოლის კანონისა.

თავმჯდომარე. შემდეგი კანონპროექტი სპეკულიაციასთან ბრძოლის შესახებ.

შ. ამარჯობა. მუხლი ჰარკული. ცვლილება არსებითი არ არის აქ. ზოგიერთი სიტყვები არის გადასხმული.

1. სპეკულიაციით ჩითვლება:

- ა) ნიზრს ზევით ფასის აღება საქონელში.
- ბ) ნიზრ დაუდებელ საქონლისათვის გადაქარბებული ფასის აღება.
- გ) გადაშლვა გასაყიდი საქონლისა იმ რაოდენობის ზევით, რაცა ქალაქში ოჯახის ნახევარი წლის საქიროებას აღემატება, ხოლო სოფელში — ერთი წლისას.

დ) საზოგადოთ ყოველი, ერთისა ან რამდენიმე პირის, განზრახ ჩადენილი მოქმედება საქონლის ფასის გადაქარბებული აწევისათვის, რომელიც წარმოების და გასაღების პირობას არ შეეფერება, აგრეთვე ისეთი მოქმედება, რომელსაც მიზნად აქვს მთლად მოსპოს, ან შეამციროს საქონლის შემოტანა.

შენიშვნა 1: განსაზღვრა ყოველ კერძო შემთხვევაში ოჯახის საქიროებისა, აგრეთვე გადაწყვეტა საკითხისა, გადაქარბებულ ფასებში გაიყიდა თუ არა საქონელი, სათანადო სასამართლოს საქმეა.

შენიშვნა 2: იმ საკითხის გადაწყვეტის დროს, გადაქარბებულ ფასებში გაიყიდა თუ არა საქონელი მოსამართლე, მიიღებს მუდველო-



ბაში საქონლის ყიდვისა და გადატან-გადმოტანაზე გაწეულსა და სხვა ისეთს ხარჯს, რაიცა ნორმალურ ან კანონიერს არ აღემატება მუხლი მე-2, უცვლელად არის მიღებული საბჭოს მიერ.

11 კანონის პირველ მუხლში აღნიშნულ დანაშაულობათათვის დადგენილია შემდეგი სასჯელი: ერთი წლით საპრობილეში დატუსაღებიდან ვიდრე ათი წლის კატორღამდე და ჯარიმა 100-დან 100,000 მან.

სასამართლოს დადგენილებითვე გამტყუნებულს პირს იძულებით და უსასყიდლოთ ჩამოერთმევა (კონფისკაცია) სახელმწიფოს სასარგებლოდ, როგორც სპეკულიაციისათვის უკვე გამოყენებული, აგრეთვე ვადამალული საქონელი.

გარდა ამისა, სასამართლოს უფლება ეძლევა, თუ საქოროდ დაინახავს, მთლად აუკრძალოს ან შეუზღუდოს სავაჭრო უფლებანი სპეკულიაციაში გამტყუნებულ პირს. ამ შემთხვევაში დასჯილ პირს დაევალება სალიკვიდაციო ფული გადაუხადოს საერთო წესით სასამართლოს მიერ დახურულ სავაჭრო ან სხვა დაწესებულებების მუშებს და დაწესებულებებს.

შენიშვნა: ამ მუხლის ძალით ჩამორთმეული საქონელი, რომელიც ჩქარა ფუჭდება, უნდა დაუყონებლივ გაიყიდოს სასამართლოს დადგენილების დაუცდელათ.

სარედაქციო კომისიამ შეასწორა:

2. ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნულ დანაშაულისათვის დადგენილია შემდეგი სასჯელი: ერთი წლით საპრობილეში დატუსაღებიდან ვიდრე ათი წლის კატორღამდე და ჯარიმა ასიდან ასიათასს მანეთამდე.

სასამართლოს დადგენილებით გამტყუნებულ პირს იძულებით და უსასყიდლოთ ჩამოერთმევა (კონფისკაცია) სახელმწიფოს სასარგებლოდ, როგორც სპეკულიაციისთვის უკვე გამოყენებული აგრეთვე ვადამალული საქონელი.

გარდა ამისა, სასამართლოს უფლება ეძლევა, თუ საქოროდ დაინახავს, მთლად აუკრძალოს ან შეუზღუდოს ვაჭრობის უფლება სპეკულიაციაში გამტყუნებულ პირს. ამ შემთხვევაში დასჯილს პირს დაევალება სალიკვიდაციო ფული გადაუხადოს საერთო წესით სასამართლოს მიერ გაუქმებულ სავაჭრო ან სხვა დაწესებულებების მუშებს და მოსამსახურეებს.

შენიშვნა: ამ მუხლის ძალით ჩამორთმეული საქონელი, თუ ჩქარა წასახდენია, უნდა დაუყონებლივ გაიყიდოს სასამართლოს დადგენილებამდე.

მუხლი მესამე უცვლელად არის მიღებული.

მუხლი მეოთხე საბჭოს მიერ ასე გახლდათ მიღებული.

4. ვინც სოფელში იყიდის ან დააბეგებს პურს, სიმინდს, ღვინოს ან სხვა რაიმე სოფლის ნაწარმოებს და ნაყიდ საქონელს განზრახ იმ მიზნით არ გაიტანს, რათა ფასებმა აიწიოს, ის პასუხის გებაში მიეცემა და დაისჯება ამ კანონის მიერ მე-2 მუხლის ძალით.

სარედაქციო კომისიამ შეასწორა ასე:

4. ვინც სოფელში იყიდის ან დააბეგებს პურს, სიმინდს, ღვინოს ან სხვა რაიმე სოფლის ნაწარმოებს და ასეთს საქონელს განზრახ იმ მიზნით არ გაიტანს ბაზარში, რათა ფასებმა აიწიოს, პასუხისგებაში იქნება მიცემული და დაისჯება ამ კანონის მე-3 მუხლის ძალით.



საბჭოს მიერ მიღებულ ტექსტში ნახმარი იყო ჩაყვად საქანჯღარ ჩვენ შეეცვალეთ: ასეთ საქანჯღარს და დაუმატეთ გაიტანს ბაზარში მე-5, მუხლი უცვლელად არის მიღებული.

5. ვინც ისეთ ხმებს გაავრცელებს, რომელიც სპეკულიაციისათვის ხელსაყრელ პანიკასა ჰქმნის საზოგადოებაში, საერთოდ ხელს უწყობს საქონლის ხელოვნურად ფასის აწევას, დაისჯება საპრობილოეში დაპატიმრებით ერთი წლიდან ორ წლამდე.

მე-6, მუხლი საბჭოს მიერ მიღებული ტექსტში ასე გახლდათ:

6. ვინც ვისმე სასპეკულიაციო მოქმედება აშკარად იცის, ან ვინც ნიხრზე ზევით ან აშკარად გადაჭარბებულ ფასებში იყიდის საქონელსა და ამ გარემოებას დამალვით განზრახ ხელს შეუწყობს სპეკულიაციას, დაისჯება ჯარიმით 50 მან. 5000 მანეთამდე.

ჩვენ აქ სიტყვები დასჯება ჩაწამით შეეცვალეთ: ჭრიამა გადასდება, რადგან ჯარიმით კი არა სჯიან, ჯარიმას ახდევინებენ.

მთელი მუხლი ასე მივიღეთ:

6. ვინც ვისიმე სასპეკულიაციო მოქმედება აშკარად იცის, ან ვინც ნიხრს ზევით ან აშკარად გადაჭარბებულ ფასებში იყიდის საქონელსა და, ამ გარემოების დამალვით, განზრახ ხელს შეუწყობს სპეკულიაციას, ჯარიმა გადასდება ორმოც და ათიდან ხუთი ათას მანეთამდე.

მუხლი მე-7.

7. მოხელენი, რომელთაც სპეკულიაციისთან ბრძოლა ევალებათ და რაუდევრობისა და უმოქმედობის გამო ჯეროვან ზომებს სპეკულიანტთა წინააღმდეგ არ შიილებენ, დაისჯებიან უდიდესი ხარასხით თანამდებობის პირთათვის დადებულ სასჯელით და გარდა ამისა გადახდებთ ჯარიმა 500-დან 5000 მანეთამდე, ხოლო ის მოხელენი, რომელნიც განზრახ დაფარავენ (сокрытiе) ან დაუშვებენ (поустительство) ერთ ერთს რომელიმე დანაშაულობას, პირველსა, მესამესა და მეოთხე მუხლებში გათვალისწინებულს, ისჯებიან დანაშაულობათა თანამონაწილეობობის წესების მიხედვით (117—119, 121—123, 125 მისასჯელთა დებულებებისა) თუ ამასთანავე აღნიშნული პირნი მოქმედებდნენ ანგარეებით ან მოყიდვით. დაისჯებიან კატორღით არა ნაკლებ 6 წლისა და არა უმეტეს 10 წლისა.

ამ მუხლში ჩვენ შემდეგი შესწორებანი შევიტანეთ. საბჭოს მიერ მიღებულ ტექსტში ნათქვამია: რომელნიც განზრახ დაფარავენ (сокрытiе) ან დაუშვებენ (поустительство) ერთ ერთ რომელიმე დანაშაულობას.

სარედაქციო კომისია ფიქრობს: უკეთესი იქნება, რომ ვიხმაროთ სიტყვა შაუშკები.

მთელი მუხლი ასე შევასწორეთ:

7. მოხელე, რომელსაც სპეკულიაციისთან ბრძოლა ჰპარტებს და, დაუდევრობისა თუ უმოქმედობის გამო ჯეროვან ზომებს სპეკულიანტთა წინააღმდეგ არ შიილებს, დაისჯება უდიდესი ხარისხით თანამდებობის პირთათვის დადებულ სასჯელისა და, გარდა ამისა, გადახდება ჯარიმა ხუთასიდან ხუთი ათასს მანეთამდე, ხოლო მოხელე, რომელიც განზრახ დაფარავს (сокрытiе) ან მიუშვებს (поустительство) ერთ ერთს რომელსამე დანაშაულს პირველსა, მესამესა და მეოთხე მუხლში გათვალისწინებულს, დაისჯება დანაშაულობის თანამონაწილეობობის წესთა მიხედვით (117—119, 121, 121, — 125 მუხ. სასჯელთა დებულებებისა); თუ ამასთანავე აღნიშნული პირი მოქმედება ანგარებით ან



დაქრთავით, დაისჯება კატორღით არა ნაკლებ 6 წლისა და ნაკლებ 10 წლისა.

მუხლი მე-8. საბჭოს მიერ მიღებულ ტექსტში ნახმარია სიტყვა: ყოველი მოვაჭრე მოვალეა გამოფინოს სავაქროში ნიხრი რამოჯენსაშე გამოჩენილ ალაგას.

სარედაქციო კომისიამ შესცვალა ამნაირად: ყოველი მოვაჭრე მოვალეა გამოფინოს სავაქროში ნიხრი რამოჯენსაშე თვალ-საჩინო ალაგას.

მუხლი მე-9 უცვლელად არის მიღებული: ყოველი სახლის პატრონი მოვალეა აცნობოს სათანადო ადმინისტრაციას სია იმ საწყობთა, რომელიც გამართულია მის სახლში.

უცვლელად არის მიღებული მე-10 მუხლიც.

10. კანონის მე-8 და მე-9 მუხლში აღნიშნული მოვალეობის დამრღვევი დაისჯება ჯარიმით ასიდან 10.000 მანეთამდე, ანუ დატუსაღებით ერთ წლამდე.

მე-11 მუხლიც უცვლელად გახლავთ.

11. ყოველი გამყიდველი საქონლისა მოვალეა მისცეს მყიდველს წერილობითი ანგარიში ნაყიდი საქონლისა, თუ ამას მყიდველი მოითხოვს.

ვინც მყიდველს მოთხოვნილებს ამებრ ამ მუხლში ნაჩვენებ ანგარიშს არ მისცემს, დაისჯება ჯარიმით ასიდან ათას მანეთამდე.

მუხლი მე-12, საბჭოს მიერ მიღებულ ტექსტში ნათქვამია.

მე-10-ე მუხლის სასჯელი დაედება იმ პირსაც, რომელიც, რაიმე მოგონად საბაბით უარს ეტყვის მყიდველს საქონლის მიყიდვაზე.

სარედაქციო კომისიამ შეასწორა:

12. მე-10 მუხლის სასჯელი დაედება იმ პირსაც, ვინც რაიმე მომიჯნებათ, უარს ეტყვის მყიდველს საქონელი მიჰყიდოს.

მუხლი მე-13, 14, 15, 16 და 17, უცვლელად არის მიღებული.

თავმჯდომარე. ვინ არის წინამდებელი ამ შესწორებების? არვინ. მასანადამე მიღებულია.

ახლა ჩვენ გადავდივართ შეკითხვაზე, რომელიც შემოტანილია საბჭოს წევრის ახმეტლის მიერ. სიტყვა ეკუთნის საბჭოს წევრს ალექსანდრე ახმეტელს.

აღ. ახმეტელი (რადიკ.-დემოკრ.) მოქალაქენო, საბჭოს წევრნო!

მე არ ვიცი საზოგადოდ, გრწამთ თუ არა თქვენ გულწრფელობა პოლიტიკაში, იმის შემდეგ, რაც თქვენ მოისმინეთ პარასკევს და სამშაბათს. აღარ ვიცი შეგიძლიანთ თუ არა ოდესმე ჩვენს მდგომარეობას, უფრო კი ჩვენს მომავალს გულახდილად და პირდაპირ შეგხედოთ და სთქვათ ის, რაც აუცილებლად საჭიროა ითქვას, როგორც ჩვენი ხალხის საყურადღებოდ, ისე ჩვენ მოპირდაპირეთ და ჩვენი სახელმწიფოს მოპირდაპირეთ და მტრების საგულისხმოდ. ან და შეგიძლიანთ თუ გინდ თქვენი პოლიტიკური მოპირდაპირის გულწრფელობა ერთხელ მაინც იცნოთ და მის მიერ გამოთქმულ შეხედულებას დასდოთ მართლაც ღირსეული და მართლა სახელმწიფოებრივი მსჯავრი.

შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ დღეს აი ამ ჩემ მიერ შემოტანილ შეკითხვის განხილვის დროს, რომელსაც მიზნად აქვს არა წინასწარ განზრახული ბრძოლა მთავრობასთან, როგორც მთავრობასთან, არამედ გაშუქება იმ სასურსათო პოლიტიკისა, რომელსაც დღეს ჩვენში ვაწარმოებთ და ვარკვევა იმ პოლიტიკურ მდგომარეობისა, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, მე მგონია, ვიმეორებ, მე



მჯერა, რომ ჩემ მიერ გამოთქმულ შეხედულობას თქვენ თავს დაიტანთ.

სურსათ სანოვაგის საკითხი, ეს ერთი უდიდესი და უმთავრესი საკითხთაგანია დღეს ყოველ სახელმწიფოში. კიდევ მეტი, სურსათ-სანოვაგის ორგანიზაცია ეს ის სწორი და უტყუარი ბარამეტრია რომლის საშუალებითაც განიზომება ამა თუ იმ სახელმწიფოს ფინანსიური, ეკონომიური სიძლიერე და მისი შემოქმედებითი უნარი. იმისდა მიხედვით შესძლო თუ არა ამ თუ იმ სახელმწიფომ თავისი მცხოვრებთა დაქმავთილება ან და შესძლო თუ არა მტკიცე ორგანიზაციის საშუალებით უზრუნველ ეყო თავის მცხოვრებნი იმდენად, რომ უკანასკნელნი სასოწარკვეთილებას არ მისცემოდნენ.

შეიძლება გაბედულად ლაპარაკი ამ სახელმწიფოს მომავალზე და მისი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაზე. ყოველი პოლიტიკური მოვლენა სახელმწიფოში დღეს ამ ორგანიზაციის ღირებულობით განიზომება. დაინგრა და დაიღუპა დიდი რუსეთი, მხოლოდ იმიტომ, რომ მან ამ ორგანიზაციის შექმნა ვერ მოახერხა. პურის და სურსათ-სანოვაგის სიძვირემ უმთავრესად მოგვცა ჩვენ რუსეთის რევოლუცია, მისივე უკანონო შეიღია დღევანდელი ბოლშევიზმი და მისგანვე ელიან მონარქიის შობას.

ვერც დემოკრატიული იდეალები, ვერც სოციალისტური ლოზუნგები, ვერც თავგანწირული ბარძოლა უწყვეტს მომავალზე ვერ უშველის საქმეს, ვერ შექმნის სახელმწიფოს, ვერ განამტკიცებს მის დამოუკიდებლობას, თუ მასსამ არ მიიღო ის, რაც მას მსურს, თუ იგი დაიწყუნებული არ არის, რომ ხვალ სიმშვილი კარებს არ ჩამოუკაკუნებს. პოლიტიკური რაინდობა მას არ სწამს. შემაკაც ღმერთად გაიხდის თუ კი სასოწარკვეთილი შევლას ვერსაიდან და ვერ მიიღებს.

ბატონებო, საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა შერცხვენის და შეურაცხყოფის გზით მიიღო.

ჩვენ ქვეყანას ბედმა თავისუფლება მხოლოდ მაშინ არგუნა, როდესაც მთელმა გრმა მთელს მსოფლიოს თავისი უნაყოფობა და სისუსტე ამცნო. ქედმოუბრუნდა, გულმაგარი ქართველი ერთი ცხელი იმით უნდა დამფრთხალიყო ბათონთან, რომ იგი სუვერენულ უფლებების მატარებელი შემდეგ გახდარიყო, საქირო იყო წარმოუდგენელი მარტვი, რომ ჩვენი საქართველოს დამოუკიდებლობა კვლავ აღმდგარიყო და თუ ქართველი ჯარი ძველებურად ძღვევა მოსილი დარჩებოდა აჭარის ხეობებში, მაშინ აი ამ ადგილებზე კვლავ ისევ ხანხოსეები და ხატისოვები ისხდებოდნენ. ჩვენმა სისუსტემ, ჩვენმა უმლოურებამ მოგვცა ჩვენ ჩვენი სახელმწიფო, მაგრამ იმავე დროს ჩვენი სისუსტე არის ჩვენი ერთად ერთი საშინელი მტერი. მთელი ჩვენი უბედურება სწორედ იმაშია, რომ ვერას ვხვით ვერ დავაღწიეთ ჩვენი თავი ამ სისუსტეს. ვერ იქნა და ვერ ჩაისახა ჩვენში ის სახელმწიფოებრივი სულის კვეთება, რომლისდაც ყოველად შეუძლებელია სახელმწიფოს ორგანიზაციის შექმნა. მიტოვებული ბედის ანაბარად, როგორც ნათოტი, ისე დავცურავთ მსოფლიო ქარცეცხლის ტალღებზე და ნავთ სადგურს ვერა ვზოულობთ. თქვენ ვებსომებათ თუ რა ზემოთ ავირჩიეთ ბატონი ყორღანია ჩვენ მთავრობის თავმჯდომარედ. მაშინ ჩვენ ვეწამდა, რომ სწორედ ეს—ის ერთად ერთი



ადამიანია, რომელიც შესძლებს ჩვენს სახელმწიფოს მოვედროს მისი მწიფოს ბატონ-პატრონობას. ჩვენ მაშინ გვწამდა, რომ მასწავლებლის ხელმძღვანელობით გამოვარკვევდით ჩვენს საკუთარ სახელმწიფოს სახეს და ვანვამტკიცებდით იმ სახელმწიფო პოლიტიკის გეზს, რომელიც უზრუნველყოფდა ჩვენს სახელმწიფოს, ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს ყოველგვარ ხიფათისაგან.

ყველა ჩვენგანს გვწამდა რომ ეორდანია იქნება ის სახელმწიფო ვაფი, რომლის ავტორიტეტი და შემოქმედებითი უნარი საშუალებას მოგვცემდა ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცებისას. ჩვენ მას განსაკუთრებული ყურადღებას კი მივანიჭეთ, დიქტატორად გაეზადეთ, ნდობით აღქვურვეთ და მოვითხოვეთ მისგან გაბედული წინამძღოლობა.

დღეს მე გავხედავ და საჯაროთ ვიტყვი, რომ ეს იმედები არ გამართლდა. თანდაყოლილი სისუსტე დღეს-დღეობით თან დაგვდევს და, თუ მომთხოვთ საბუთებს, თუ ვინმე დაიწმუნდეთ ჩემ სიტყვებში, მე საბუთებს მოგიყვანთ — ეს არის მთელი საქართველო, ყოველივე დარგი ჩვენი სახელმწიფოსი და უფრო კი — ჩვენი სასურსათო საქმის ორგანიზაცია.

ბატონებო თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ რუსეთის ძველი მთავრობის პოლიტიკამ ერთის მხრივ და რუსეთის იაფ-ფასიანმა პურმა მეორე მხრივ, საშუალება არ მისცა ვანვითარებულყო ჩვენში, როგორც მრეწველობა. ისე პურის ინტენსიურად მოყვანა. ჩვენ არ გვაქვს არც ერთი ქარხანა, არ გვაქვს საქონელი, მასთანვე ჩვენ სრულთარი პური არ გვეყოფნის. საიდანმე შემოტანის საშუალება დღეს ჩვენ არ მოგვეპოვება. ეს თქვენ თვით მინისტრმაც გაგიცხადათ.

აი ამ საშინელ პირობების დროს გვიხდება სახელმწიფოს შენება. ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა ნაბიჯი გადადგა მთავრობამ. მან უარყო საკუთარ პურის მოვლა პატრონობა, და კიდევ მეტი, მან სრულიად მოსპო ყოველივე კანტროლი პურის ყიდვა-გაყიდვაზე და თავისუფალი ვაჭრობა გამოაცხადა. და მე გონია მთავრობამ ეს ნაბიჯი გადადგა იმიტომ რომ მესამედ ამ საქმის მოგვარება ვერ შესძლო ამ ორგანიზაციის მოწყობა. ვერ შესძლო მხოლოდ იმიტომ, რომ სუსტი და უძლური გამოდგა. თვით სასურსათო სამინისტრო კი იმდენად უნიადავო და უვარგისი გამოდგა, რომ ახლა თვითვე მდიქრობს მის გაუქმებას. ამ ორგანიზაციამ თვით მცნობარებთა უზრუნველყოფა პურის მხრივ, რომ ვერ მოახერხა ეს არაფერი, სავალალო ის არის, რომ ჩვენი ჯარი ამ ორგანიზაციამ სრულიად უპირობად დასტოვა, ის პური კი რომელითაც ჩვენი ჯარი ახლა იკვებება ისეთი საშინელება რამ არის, რომ დანახვებდაც კი კაცს გული აერევა. მაგრამ მე არ დავანახებებთ, მხოლოდ ერთ ფაქტს მოგიყვანთ და წიგნიკითხავთ ერთს დოკუმენტს.

ჩემს ხელში არის კომისიის აქტი, იმის შესახებ, თუ რა გვარ პურს აძლევენ დღეს ჩვენს ჯარისკაცებს. აქტი რუსულად სწერია და ბოდიშს მთავინდი, რომ ქართულად ვერ წაგიკითხავთ. (კითხულობს). ხშირად ბატონებო, ასეთ პურს ვერ აქმევენ და შემდეგ ადგენენ, რომ უნდა გაუქმდესო.

სასურსათო ორგანიზაციამ საქონლით ხელშიაკი ვერ მოახერხა ჩვენი პურის შეგროვება. თქვენ იცით გლეხი კაცი რას აფასებს თავის პურს. მე ვიცი ადგილები სადაც სალდათის პერანგში და შარვალში იძლევიან ერთ კოდ პურს, მე ვიცი, მაგალითად სოფელი, სადაც ერთმა



კაცმა ოთხს კოქს მადში მისცა ერთი ფუთი პური, მე ვიცი ადგილგა
საცა ერთს ფუტს მარილში, რომელიც ახლა ჯდება 8—12 მანეთად. ~~მე ვიცი~~
კაცი იძლევა ერთს ფუტს პურს. ასეთ პირობებში ჩვენი ხალხი
ორგანიზაცია ვერ მოაწყობ თვითონ საქონლის პურზე გაცელომ და იძუ-
ლებული გახდა ამგვარი ოპერაციები კერძო პირებისათვის გადაეცა.
ახლა ამ კერძო პირების საშუალებით უნდათ პური შეეგროვონ. მე ვიცი
მაგალითი. ვაჭარი ამ პურის ამერაციანზე, 7 ვაგონ მშაილზე გებულობს
600000 მან. ბატონებო, ვიეორებ, მე დღეს არ მიწადა, არცა მსურს
არც განზრახვა მაქვს რომ ვილაპარაკო იმ ფაქტებზე, იმ საბუთებზე, რო-
მელიც ჩემ ხელთაა. ყველამ უკვე იცით, რომ მთავრობამ ამ მხრივ ნა-
ბიჯი გადადგა, დანიშნა რევიზია და მინისტრის ამხანაგიც გადააყენა.
მაგრამ მე არ შემიძლიან ესთქვა, რომ ის რევიზორი, რომელიც ახლა
დანიშნულია არასოდეს არ იქნება ჩვენს თვალში ნდობით აღჭურვილი,
ვინაიდან დღეს ეს რევიზორი თვითონვე საქიროებს რევიზიას, როგორც
ყოფილი თავიჯდომარე სასურსათო კომისიისა. სწორედ არის, რომ მი-
სავე მოქმედებას გაუკეთდეს რევიზია. ეს გახლავთ ალექსანდრე ჯაფა-
რბე, რომლის შესახებაც უკვე იყო ცნობა მოთავსებული ერთ-ერთ
ქართულ გაზეთში.

ბატონებო, თავისუფალი ვაჭრობა პურზე, მაშინ, როდესაც პური
გაცელებით ნაკლებია, ვიდრე მოთხოვნილება, როდესაც არ შეიძლება
არსაიდან პურის შემოტანა, ეს თავისუფალი ვაჭრობა კი არ არის, ეს
თავისუფალი ტორგი გახლავთ. პური ჰვდება იმას ვინც მეტს მისცემს,
ერგება იმას, ვისაც მეტი ფული აქვს. ვერვინ ვერ გააძეუნებს იმ
გლეხ კაცს, რომელიც პურს ძვირად ჰყიდს, ვინაიდან ის თითონ იძუ-
ლებულია საშინელი დიდი ფასი მოსცეს იმ საქონელში, რომელიც მას
სჭირია. ასეთ მდგომარეობაში ვიყოფებით დღეს. წარმოიდგინეთ, რა
მოგველოს მაშინ, როცა ვ რ შევძლებთ ვერსაიდან პურის შემოტანას.
ვიეორებ იმ შემთხვევაში თუ პური ვერ შემოვიტანეთ, და ვერც შე-
მოვიტანთ, რადგან ის ადგილებო, საიდანაც პურის წამოღება შეიძლე-
ბოდა შინაური ბრძოლის ევლად არიან გადაქცეულნი, ან და გადიქცე-
ვიან. რას ფიქრობთ მაშინ, როგორც გგონიათ იანვარში, თებერვალში
რა ელირება პური? ამჟამაა ხუთი მანეთის მაგიერათ გირვანქა 25 მან-
ეთი გახდება, ამჟამაა მთავრობის მთავარი ყურადღება აქტუვენ უნდა
იყოს მოქცეული და თუ მან ვერ შესძლო საჭეთარ პურის მოვლა—
ბატონობა და სათანადო განაწილება, ვერ შეძლო მტკიცე ორგანიზა-
ციის შექმნა ის მაინც უნდა მოახერხოს, რომ ჩვენს საკეთარს პურს
ზედმეტი მქამელი როგორცე მოაშოროს. უპირველესად ყოვლისა ჩვენი
პურით საქართველოს მოქალაქეები უნდა დაქმყოფილდნენ. სხვანაირი
გზა არა აქვს ჩვენ მოაგროვას და ჯერ ჯერობით არც ექნება.

ბატონებო, მართო პურის საკითხის მოგვარება, ეკონომიური და
ფინანსიური კრიზისის თავიდან ვერ აგვაცდენს. წარმოიდგინეთ რომ
პური დაიბადა, წარმოიდგინეთ რომ თქვენ შესძლეთ და შემოიტინეთ
პური ყუბანიდან და უკრაინიდან; პური გირვანქა მანეთათ გახადეთ,
ცხადია რომ გლებ-კაცი, როდესაც პურის ფასი დაიწევა, იძულებული
იქნება თავისი პურიც ნაკლებ ფასში გაყიდოს. მაშინ ჩვენი გლებ-კაცი
შეძლებს და რაივე საქირო ნივთის შექმნას? თქვენ ხომ იცით რა ფა-
სი აქვს ბაზარზე რკინეულობას, ფართლეულობას და სხვა საქონელს.
მათი ფასი ხომ არ დაეცემა? ხომ ვიცით, რომ ასეთ საქონელს ჩვენ



კარგა ხნით ვერსაიდან ვერ მოვიტანთ. ზური ფულია გოცხი-
თუ მისი ღირებულება საგრძნობლად დაეცემა, გაჭირვებას
ფილებას თავიდან ვერ აცილებთ.

ბატონებო, მთავარი ძარღვი ჩვენი ეკონომიური დამოუკიდებლო-
ბისა, ჩვენი მრეწველობა ეს არას ნელ-ნელა იღვამს ფებს და რამდენა-
დაც გარეშე პირობები ხელს უწყობენ, რამდენადაც იგი თავისუფა-
ლია მსოფლიო სამრეწველო კაპიტალის მეტოქეობისაგან, იმდენათ მას,
მის განვითარებას აზრკოლებს ჩვენი შინაური პირობები. პარასკევს და
სამშაბათს აქ არაფერი თქვეს მუშა კლასის ანარქიულ და ბოლშევი-
კურ ეკონომიურ გამოსვლის შესახებ. მე გულწრფელად უნდა განვატ-
ხადო, რომ 8 საათის სამუშაო დღეს წინააღმდეგ არასოდეს არ ვყო-
ფილვარ. მომხრე ვარ ამ ნორმისა, მაგრამ მათი გამოსვლა, მათი მოთ-
ხოვნობები პირდაპირ ძირს უთხრიან საქართველოს დამოუკიდებელ
რესპუბლიკას.

ბატონებო! მოდესაც მუშები, აი თუ გინდათ ტყიბულის მუშები
ერთ მშვენიერ დღეს 100% იმატებს თავის სამუშაო დღის ფასს, რა
არის ეს თუ არა სპეკულიაცია? როცა მუშა თხოულობს 10 გირვანკა
საპონს, 5 კოქის ძაფს, 80 გირვ. შაქარს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს,
განა ეს სპეკულიაცია არ არის? განა ეს საშინლობა არ არის, განა ეს
შეიძლება სახელმწიფომ აიტანოს? მიჩვენეთ ერთი დარგი მაინც სა-
დაც მუშა დღეს ზედ მეტს ღირებულებებს ჰქმნიდეს. დღეს თვით მუშა
ეწევა სხვის, მომხმარებლის ეკსპლოატაციას. ნუ თუ ეს სოციალიზმია?
ნუ თუ მარქსი ამას მოითხოვდა. ეკონომიური მოთხოვნობები ჩვენი
მუშებისა აუცილებლათ და უჩველად დალუბავს საქართველოს დამო-
უკიდებელ სახელმწიფოს.

ბატონებო! დამოუკიდებელი საქართველო იარსებებს, როგორც
ძლიერი ბურჟუაზიული დემოკრატიული სახელმწიფო, ან არა და რო-
გორც დამოუკიდებელი საქართველო იგი სრულებით ვერ იარსებებს.
ძხოლოდ შინაური მრეწველობის აყვავება, მისი ჩქარის ტემპით გან-
ვითარება, ჩვენ საშუალებას მოგვცემს მტკიცე სახელმწიფოებრივი ორ-
განიზაციები, იგივე მოგვცემს კულტურულ და ეკონომიურ ძლიერე-
ბას, საღ ფინანსებს და იხსნის ჩვენ ხალხს ყოველგვარ გაჭირვებისაგან.
აქ, აი ამ ტრიბუნიდან შემდეგ აზრი იყო გამოთქმული: ჩვენი სახელ-
მწიფოს მრეწველობა შეიძლება მაშინ აყვავდესო, როდესაც გარეშე
ქვეყნებში დამყარდებიან ნორმალური პირობებიო. მე ვამბობ პირი-
ქით — ჩვენი მრეწველობა მაშინ აყვავდება თუ გარეშე ქვეყნები არ დად-
გებიან ნორმალურ ნიადაგზე. აი განსხვავება ჩვენში სოც არის. (ხმაუ-
რობა ს.-ლ.). მე მოგახსენებთ: დიახ თქვენ ეს სიტყვა სხვანაირად გაი-
გეთ. მაშინ დაიზღვეთ ყური და გაიგებთ, რომ მე მართალი ვარ.
თქვენ სთქვიათ, მრეწველობა ვერ განვითარდება ჩვენში იმიტომ, რომ
სამრეწველო იარაღი არა გვაქვსო. ნუ თუ ეს მართალია? მე გეკითხე-
ბით ახლა პოლშაში ხომ არის სამრეწველო იარაღები, რატომ არის
იქ საშინელი კრიზისი. რატომ მოხდა, რომ იქ არაერთარი საქონლის
შოვნა არ შეიძლება. აშკარაა საქმე სამრეწველო იარაღში არ არის.
მთავარი ძალა მრეწველობისა არის მასალა, ამ მხრივ-კი ჩვენ ყველაზე
უკეთეს პირობებში ვართ. იქ სადაც ვაღასამუშავებელი მასალა არ მოიპო-
ვება, ყოველად შეუძლებელია მრეწველობის აღორძინება. ვინ არ იცის,
რომ სამრეწველო იარაღის შოვნა უფრო ადვილია, ვიდრე სამრეწვე-

ლო მასალის. მრეწველობის აღორძინება ჩვენში ძალიან ადვილია, რად-
 ვან მასალა საკმაოდ გვაქვს, მხოლოდ საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან
 იზრუნოს, ხელი შეუწყოს მას და არ შეუშალოს. ჩვენი მთავრობა, ყვე-
 ლა კარგად ხედავს, თუ რაგვარად ზრუნავს მრეწველობის განვითარე-
 ბისათვის.

ბატონებო, ამ საშინელ მსოფლიო ოპის დროს, ყველა ეროვნება
 თავისთავის გადარჩენაზე ფიქრობს. მხოლოდ მტკიცე და გაბედული
 პოლიტიკა მოგვცემს საშუალებას არა მარტო შევიწარმოოთ ის, რაც
 ჩვენ უკვე გვაქვს, არამედ მივიღოთ ისიც რაც ისტორიამ გვარგუნა.
 საშიშია ჩვენი მდგომარეობა არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენ სუსტნი
 და უძლიერნი ვართ. საშინელია ჩვენი მდგომარეობა უფრო იმიტომ,
 რომ ამ საშინელ მტაცებლობის დროს ჩვენი მთავრობა პოლიტიკურ
 ლოიალიზმს ვერ მოშორებია. მაშინ, როდესაც ჩვენი მტრები კალიასა-
 ვით გვახვევია და იგინი ჩვენ სახელმწიფოს ნიადაგს უნგრევენ, ჩვენი
 მთავრობა მათ პოლიტიკური ლოიალიზმით უმასპინძლდება. სურსათ-
 სანოვაგის კრიზისს იგინი იარაღათ იყენებენ, ამ ნიადაგზე ანარქიას გვი-
 ძლიერებენ. ჩვენ კი მათთვის ვცდილობთ, რომ პური თ უზრუნველყო-
 ფილ იყენენ მომავალში. პოლიტიკური ლოიალიზმი ჩვენი მთავრობისა,
 ისევე დამლუბველია ჩვენი სახელმწიფოს, როგორც მუშათა კლასის ანარ-
 ქო-გერნომიური გამოსვლები. პოლიტიკური ლოიალიზმი უარყვით და
 უმთავრეს მიზნათ დავისახათ ჩვენი სახელმწიფოებრობის დაცვა. სა-
 ქართველო, საქართველოს მოქალაქისათვის. აი ჩვენი დევიზი. და თუ ვნე-
 ბავთ თქვენ შართლაც შექმნათ სახელმწიფო, განამტკიცოთ დამოუკი-
 დელობა უნდა უარპყოთ პოლიტიკური ლოიალობა და მიიღოთ გაბე-
 დული პოლიტიკა შეტევისა — თავდაცვის მიზნით.

მხოლოდ იმ გაბედულ ნაბიჯმა, რომელიც გადადგა მთა-
 ვრობამ ტუფსეს მიმართულებით, უზრუნველ ჰყო სოხუში ბოლ-
 შევიცების დარბევისაგან. საკმარისი იყო, რომ სახალხო გვარდიას და
 ჩვენს ჯარს კავკასიან ზარი ჩამოერქვა, რომ აღბულაღში მშვიდობიან-
 ნობა არ დარღვეულიყო. და თუ საჭირო გამოდგა ეს გაბედული პო-
 ლიტიკა ვარეშე მტრებზე, არა ნაკლებ საჭიროა ასეთი შე-
 ტევა, აქ ჩვენში საბინადრებულ შინაურ მტრებზე. თქვენ ვერ იპო-
 ვით ვერც ერთ კუთხეს საქართველოს სადაც საშინელი აგი-
 ტაცია არ სწარმოებდეს ჩვენი მთავრობის და ჩვენი სახელ-
 მწიფოს წინააღმდეგ. ოჯახებში თუ ქუჩებში, კლუბებში თუ კა-
 ფეებში თქვენ ერთი რამ გესმით: იგინი არწმუნებენ ხალხს საქართვე-
 ლოს დამოუკიდებელი არსებობა არ შეუძლიან, შიმშილით იხოცებით
 და ერთად ერთი ხსნა არის, რომ დანგრეულ და დაფხრეწილ რუსეთს
 შეუერთდეს. ყველაზე სავალალო ის არის, რომ ამ აგიტაციის ცენტრათ
 დივეანდელ დღეს არის ქალაქ თბილისს თვითმმართველობა, საკმა-
 რისია ერთი წუთით დაწყოთ იქ, რომ იგრძნოთ ის საშინელი სიბინ-
 ძურე, რომელიც იქ გამეფებულია. (ხმა მარჯვნივ: მართალია, მართა-
 ლია). საქართველოს წინააღმდეგ იბრძვიან ისინი, ვინც დედაქალაქის
 ხმოსნებათ ითვლებიან. ხმოსნებათ არიან ის პარნი, რომელნიც საქარ-
 თველოს მოქალაქეთ არ ითვლებიან. ებრძვიან იმ სახელმწიფოს, რო-
 მლის პოლიტიკურ თვისუფლებით თვითონ სარგებლობენ. ჩვენ ქალა-
 ქში და ქალაქის თვითმმართველობაში ხედან ჩვენი მტრები მაშინ, რო-
 დესაც ჩვენი ქვეყანა საზღვრების მხრივ უზრუნველ ყოფილი არ არის,



აღმოსავლეთით მაინც, ჩვენ არ ვიცით, იქნებ ოდესმე მაინც ომი მოგველის. ბატონებო, იმის მაგივრად, რომ ისინი ცდილობდნენ, რომ რამე შესძლონ ქალაქის ქუჩებში აუარებელ ხალხსა და ლეონტიძესთან თავისუფლონ. იმის, მაგივრად, რომ აკრიბონ დამხრავალი კატები და ძაღლები (მა შარჯენიდან: ცხენები) იმის მაგივრად რომ ყოველად უფარვისი მილიცია მოაგვიარონ, იმის მაგივრად, რომ განწმინდონ ქუჩები მშვიდ მიწველ-ტიტველ ბავშვებისაგან—

გაშმაგებული ებრაჱიან ჩვენს მთავრობას და ცდილობენ მისი სახელის გატეხას. უბრალო კომისრის თანამებრწე ამა თუ იმ დაწესებულებისა, ბატონს მინისტრის ნებართვას თავზე ახვეს და აპობს მე მინისტრი არა მწამსო. თბილისის ქალაქის თვითმართველობის საავადმყოფოდან, მე ვიცი, ხოლოგიან საცვლებს სოფლებში გზავნიდნენ პურზე ვასაცვლელად (ბ. ვეშაპელი: ინტერნაციონალისტები) და რამდენიმე სოფელში ხოლოგრა ავით შეიტანეს. ბატონებო, მე არ ვიცი, თქვენ როგორ უყურებთ, არის თუ არა დრო, რომ დაინგრეს დღეს ეს ბუდე ცრუ მამებისა, რომ მად აღგილი დაიკავონ გულწრფელ საქართველოს მოქალაქეთ. მდგომარეობა მეტათ მწვავეა; თუ გნებავთ ბატონებო რომ თქვენ მიერ წამოშახილმა Wa-banc-მა სარგებლობა მოგვეთ, რომ თქვენ მიერ წამოყენებულმა უკანასკნელმა კოზირმა ბატონმა ნოე ყორდანიამ სახელმწიფო შექმნას, თქვენ უნდა უარყოთ ეროვნებათა თაიგულების შექმნა—თქვენ უნდა უარყოთ ინტერნაციონალისტური სოციალისტური პოლიტიკა. პოლიტიკა ლოიალიზმის და მიიღოთ სალი ეროვნული და თუ გნებავთ ეგოისტური დემოკრატიული პოლიტიკა.

საჭიროა შეტევა, დასწრებული შეტევა მათზე ვინც ჩვენზე იერიშებით წამოსვლას აპირებს, საჭიროა შეტევა და იერიში, მხოლოდ ერთი მიზნით რომ ვინხნათ ჩვენი ერი კარზე მომდგარ მორიგ განსაცდელისაგან. (ტაში).

თავმჯდამარე. სიტყვა ეკუთვნის გზათა მინისტრს.

სასურსათო საქმეთა და გზათა მინისტრია ავ. ლორთქიფანიძე (ს. რ.) ბატონებო, მე ვეუქრობდი, სანამ ბ. ახმეტელი თავის შვითხვას დასრულებდა, ერთის თხოვნით მიმემართა თქვენთვის: რადგანაც დღეს მთავრობა იმუშავებს ახალ გვემას ჩვენ სასურსათო პოლიტიკის შესახებ, მინდოდა მეთხოვა თქვენთვის, რომ მსჯელობა ამ საკითხის შესახებ გადაგვედო პარასკევისთვის. შემდეგში ჩვენ შეძლება გვექნება გავაცნოთ ჩვენი ახალი ორგანიზაცია და მივიღოთ ან დასტური ან და შესწორება იმ ახალ ორგანიზაციისა.

მაგრამ, რადგან სამშაოს წევრის ბ. ახმეტელის შეკითხვის ვარშემო ასტყდა ერთგვარი განგაში, ზოგიერთ გაზეთებში სწერენ, რომ ზოგიერთი ფრაქციები და მთავრობის წევრნი ბანზრუ აქიანურებენ ამ საქმის გარჩევას, ამ საკითხის მოსმენასო—ამიტომ, მე არ გავაქეთვ პირველადვე განცხადება და მოვისმინე ყველა ის რაც ბრძანა ბ. ახმეტელმა. ეხლა უნდა განვაცხადო, რომ არსებითად იმ მომავალ სასურსათო პოლიტიკის შესახებ ჩვენ ვითხოვთ რეგლამენტის ძალით, გვაქვს ამის უფლება, გავკეთ პასუხი არა უგვიანეს ერთი კვირისა.

ეხლა კი ნება მომეცით ზოგიერთ კითხვებს მაინც ვაუხვა ხაზი. უნდა მოგახსენოთ და გავიმეორო ის რაც ვთქვი პარასკევს, თუმცა ისიც უნდა ვაღიარო, რომ არაერთარი ექვი ახმეტელის გულწრფელობაში არ შეგვიტანია, მაგრამ აქ, დაუსაბუთებელ შეკითხვების შე-



მოტანა საერთო სენია. მე თქვენ გეკითხებით ბატონო ანბეგელს: შენაა თუ სხვა სთქვით რამე სასურსათო პოლიტიკაზე?

.განა სთქვით რამე არსებითად ამ პოლიტიკის შეცვლას შესახებ? ან და ჩვენ სასურსათო უწყების შესახებ, მის უფარვისობის შესახებ ითქვა რამე?

მართალია, დიდის რიხით წაგვიკითხეს ის აქტი რომ პური იყო უფარვისიო, მაგრამ ყოველ ქვეყანაში, ისეთ ქვეყნებშიაც კი სადაც უკეთესადაა მოწყობილი ყოველივე ორგანიზაცია, თქვენ ასეთ აქტს გამოსძებნით. მაგრამ რა შუაშია აქ სასურსათო სამინისტრო? რაშია სასურსათო სამინისტროს ბრალი, ნუ თუ იმაში, რომ ჩვენმა საინტენდენტსტვომ, ან ჯარის ნაწილის უფროსმა ვერ გამოიხატა კარგი შეფურნე და კარგი პური ვერ გამოაცხობ?

მე თქვენ წარსულ კრებაზე მოგახსენეთ, როდესაც უკეთებთ კრიტიკას მთავრობას, გვიჩვენებთ ზომები, ის ზომები, რომლებიც იყო სასურველი რომ მიგვეღო და რომლებიც არ მიიღო აქ ჩვენმა მთავრობამ. გვიჩვენებთ ის ზომები, რომლებიც ჩვენ უნდა მიგვეღო და არ მივიღეთ. ამის შესახებ, ვამტკიცებ, ერთი სიტყვა არ უთქვამს ბ. ანბეგელს.

მართალია აქ ბევრი ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ბატონმა ყორდანიამ იმედები ვერ გააპართალო. არ ვიცი რა იმედებს ამყარებს ბ. ანბეგელი ყორდანიასზე, მაგრამ მე მგინია, რომ ყორდანიას მთავრობა აკეთებს იმას, რაც შეუძლიან, რის-გაკეთებთ შეუძლიან მთავრობას დღევანდელ პირობებში.

მე ჯარწმუნებული ვარ, რომ სოციალისტური, თუ ინტერნაციონალისტური, როგორც თქვენ ამას უწოდებთ, თუ გამოცვლით და შექმნით სხვა საქმიან სახელმწიფოებრივ მთავრობას, სხვა ამისთანა მთავრობაც მეტს ვერ გააკეთებებს დღევანდელ პირობებში.


რაც მოხდა ჩვენს ეროვნულ საბჭოში, თქვენს წრეებში ალბად დასაბუთებაა იმისა, რომ ჩვენი აზრით თქვენ წრეებში მოიპოვება — ისეთი ჯგუფი, ახალი დამოუკიდებელი ჯგუფი, რომელიც ფიქრობს, რომ ასეთი კრიტიკა, ასეთი ლაპარაკი წინ წასწევს იმ საქმეს, რომელსაც მათი აზრით ჩვენი მთავრობა ვერ უძღვება (გვამაჟღერებ: კურსები დაარსეთ) დიან კურსები კი არის გასახსნელი და თქვენ პირველნი უნდა წაბრძანდეთ კურსებზე. (ხმსურობა გარჯვნივ)

ანბეგელსად, უმორჩილესად ვთხოვთ სიწყნარე დაიცვათ.

განათა მინისტრია (განაგრძობს) აქ იყო ნათქვამი: რევიზია სწარმოებდნო. დიან ეს მართალია, დანიშნა სპეციალური კაცი ამისათვის თუ თქვენ დანიშნულ პირის საწინააღმდეგო რამე გაქვთ, აქ კი წარმოსთქვით, მე არ ვიცი, მაგრამ ეს პირი ნდობით აღჭურვილი არის მთავრობის თავმჯდომარის მიერ და, მე მგონია, რომ ეს საკმარისი არის. განა რევიზიის დანიშვნა ამა თუ იმ უწყებაში ეს იმას ნიშნავს რომ პოლიტიკა რომელსაც აწარმოებს უწყება უარსაყოფია? განა რაკი ეს თუ ის მოხელე დასდებს ვისთანავე ხელშეკრულებას კულპირობებში, ეს იმას ნიშნავს, რომ ის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს სამინისტრო უფარვისი იყო?

მე ვფიქრობ, რომ ასეთ შეკითხვის დროს საჭირო იყო ძირითადი კრიტიკა ჩვენი სასურსათო პოლიტიკისა, — რაც მე ვერ დავინახე.

აქ გაკვრით ითქვა, რომ გაცულა-გამოცვლის საქმეს კულდათ აწარმოებთო. მე მგონია, ბატონმა ანბეტელმა ეს საქმე აქ გამოხსენა მდის



შეიტყო კვიძია ღაბაშვილის დროს. არ მოვიდა სამინისტროში გაიგო რა პირობები გვაქვს გაცვლა-გამოცვლისა! რატომ არ სცვლიან გლეხები პურს ჩვენს საქონელზე, თუ რატომ კერძო პირებს უფრო მეტი საშუალება აქვთ, რომ გაცვლა-გამოცვლა აწარმოვან.

არც ის არის არსებითად მართალი, რომ ჩვენ გადავეცით მთელი ჩვენი პურის მაგროვება კერძო პირებს. ჩვენი პურის შეგროვება გადავეცით ჩვენს მთავარ რწმუნებულს. ის აწარმოებდა პურის შეგროვებას. ნორმა გაცვლა-გამოცვლისა უკვე დამტკიცებულია ეროვნულ სიბჭოს კომისიის მიერ.

მაგრამ თქვენ უნდა გაითვალისწინოთ, თქვენ უნდა გაიხსენოთ ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებოდა პურის საკითხი საქართველოში. ეხლა აღვიღია იმის თქმა, რომ თავისუფალ ვაჭრობამ პრაქტიკული შედეგი არ მოიტანაო. რაც იმეტი თავისუფალ ვაჭრობის შესახებ ეს მართალია, მაგრამ მე არ ვიცი ბატონო ანშეტელი, მაშინ, როდესაც, არ იყო თავისუფალი ვაჭრობა, განა იყო საქართველოში ისეთი ჯგუფი, რომელსაც არ მოეთხოვნა თავისუფალი ვაჭრობა? თუ მთავრობამ გადადგა ეს ნაბიჯი, ეს არა იმიტომ, რომ დარწმუნდა იმასში, რომ ეს გზა ყველაზე უკეთეს შედეგს მოგვცემდა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ანგარიში გაუწიეთ საზოგადოებრივ აზრს, საზოგადოებრივ მოთხოვნილებას. ეხლა რასაკვირველია, ეს ფაქტია, რომ პურის თავისუფალ ვაჭრობამ პრაქტიკული შედეგი არ მოიტანა. უფრო მეტი. ქალაქ თბილისში და სხვა და სხვა ქალაქებში თუ $\frac{1}{2}$ მანეთით დაიწია, პურის ფასმა სოფლებში და იმასთანა ქალაქებში, როგორცა თელავი, პურის ფასმა თანდათან დაიწია. აი ეს იყო გამოწვეული თავისუფალ ვაჭრობით.

მაგალითად კახეთში, ყოველ სოფელში არის 4 ან 5 ორგანიზაციის წარმომადგენელი, ერთი ჩვენი წარმომადგენელი, ერთი საინტენდანტოს წარმომადგენელი, ქალაქის თვითმართელობის წარმომადგენლები, რკინის გზის, სასურსათო კომიტეტის წარმომადგენელი, ეს დიდი ორგანიზაციები, რომლებიც ყიდულობენ პურს, ერთი-ერთმანეთისგან დამოუკიდებელი. ამასთან ყველამ ვიცით, რომ ვისაც აქვს საშუალება ან რაიმე სუფთი ნივთი, ან კაბა დახეული, ყველა მიემგზავრება კახეთის რკინის გზით. ასეთი ვაჭანალობის, ასეთ ვაჭავლაზის დროს განა ჩვენ შეგვეძლო გვემოვნა პური? არა, და ვერც შევძელით.

აიღეთ ახლა ბორჩალოს მაზრა. აქ ერთგვარი მონოპოლია გვექონდა გამოცხადებული, თუმცა ნამდვილი მონოპოლია არ იყო, მაგრამ იქ თავისუფალი ვაჭრობა აკრძალული გახლდათ. მაგრამ ფაქტობრივად ამ ოპერაციამ შედეგი არ მოგვცა, ხაერთო მოუწყობლობის გამო არ გვექონია მაგარი აღმინისტრაცია უნდა მოვხსენოთ, ასიც რომ აქ ბორჩალოს მაზრაში პურს ყიდულობენ სხვა და სხვა ძალები ჩვენს დაუკითხავათ. ბორჩალოს მაზრაში ოფიციალურად გამოცხადებულია ერთი ორგანიზაციის მიერ, რომელსაც ჩვენ ანგარიშა უნდა გაუწიოთ, რომ ისინი 15 თუმნად იყიდონ ქერს და 200 მანეთად ხორბალს, მაშინ, როდესაც ჩვენ გვექონდა მტკიცე ფასები გამოცხადებული. ასე რომ ასეთ პირობებში, რასაკვირველია იმაზე ღაბაშვილი, რომ სასურსათო სამინისტროს წარმომადგენელმა ვერ შეასრულა ყველა ის მოვალეობა, რაც უნდა შეესრულებინა—ეს მართალია, მაგრამ თქვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ იმას, თუ რა პირობებში მოხდა ეს. უნდა აუხსნათ

ხალხს, რომ თავისუფალ ვაჭრობამ ვერ მოიტანა მასწავლებელი ნაცოფი. და აი ჩვენ უკვე ვიპოვეთ ახალ გეგმას, რომელიც უნდა შეიმუშავდეს რეგამი გავატაროთ. ამისთვის სათანადო ზომები უნდა მივიღოთ, რათა გან დღეს თუ ხვალ სამეგრელოში სიმინდი შემოვა და თუ თავისუფალ ვაჭრობას გზას არ აუხვევთ შეიძლება ვერც სიმინდი შევიძინოთ. ამიტომ სათანადო ზომები უნდა დაუყონებლივ გავატაროთ ცხოვრებაში.

უნდა მოგახსენოთ, რომ თუ წლებანდელი მოსავალი იქნება იმდენი, როგორც სტატისტიკური ცნობები გვაქვს, მაშინ ძალიან ცოტა პურის შემოტანა მოგვიხდება ქალაქში. ჩვენი სტატისტიკის მიხედვით საქართველოში 2600 ათასი მცხოვრებია, თუ ნორმა ასეთი მივიღეთ: 8 ფუთი ქალაქის სულზე და 13 ფუთი სოფლისაზე, ჩვენ დაგვეჭირდება 32 მილიონი ფუთი პური და ჩვენის ანგარიშით ჩვენ უნდა შემოვიტანოთ 3¹/₂, 4 მილიონი ფუთი პური და სიმინდი. 2-3 მილიონი სათესი მისალის გამოკლებით 29-28 მილიონი ფუთი პური გვეყოფა.

მაგრამ შე მსურს ერთი კორექტივი გავაკეთო ცხოვრების კორექტივის მიხედვით. ასე თუ ისე, თუმცა პური ძვირია, მაგრამ მაინც საქმარია. რომ ეს ასე არ ყოფილიყო ნახევარი საქართველო შემოიღოთ ვაწყდებოდა, მაგრამ მთავრობამ უნდა მიიქციოს ყურადღება, რომ პური, რომელიც არის შემოსატანი — შემოიტანოს, რომ დასწიოს ის ფასი, რომელიც არის დღეს პურზე საზღვარ გარეთიდან შემოტანილი პურით.

ჩვენი მოწინააღმდეგენი, მთავრობის მოწინააღმდეგენი, არ აქცევენ ყურადღებას მდგომარეობას, ამიტომ საქმარია ვილაპარაკოთ იმ ობიექტიურ და მატერიალურ მიზეზებზე, რომელიც ელოდება ჩვენს მთავრობას.

ჩვენ გვაქვს დიდი ორგანიზაცია ჩრდილო კავკასიაში და დონში. ჩრდილო კავკასიაში ჩვენ დიდი სასურსათო ორგანიზაცია გვქონდა მოწყობილი, კარგადაც მუშაობდა. როდესაც ბოლშევიკების დიქტატორი ჩამოვიდა, არ მახსოვს მისი გვარი, პო შლიაპნიკოვი, მან დაავალა ჩვენს სასურსათო ორგანიზაციას, რომ მათთვის ემუშავნა, რადგან სხვა ორგანიზაცია არ იყო. ამ ორგანიზაციას დიდძალი პური აქვს დაგროვილი, მაგრამ რადგან იქ სამოქალაქო ომი სწარმოებს, მან არ მოგვცა საშუალება პური გამოგვეტანა. მაშინ ჩვენ მივმართეთ მე-2 გზას და მაშისონის უღელტეხილით უკვე გამოვიტანეთ პატარა-პატარა ნაწილი სიმინდისა. მაგრამ ეხლა შეჩერდა სიმინდის გამოზიდვა, რადგან ვამწავლა მდგომარეობა ოსებსა და რაქველებს შორის. აი ეხლა ტელეგრაფმა მოგვივიდა, პორთფელში მქვს, ჩვენი რწმუნებული იტყობინება: მდგომარეობა ისე ვამწავლა, რომ საქმარია საგანგებოდ კაცის გამოგზავნა, რომ მან დააშოშინოსო (გ. გასაშვადი: კონტრ რევოლუციონერის ნათქვამი იქნება) შეიძლება კონტრ რევოლუციონერის ნათქვამი კი არ იყოს, მაგრამ მისი ნამოქმედარი კი იყოს (გ. ვაშაშვილი: წერეთელი გაგზავნეთ) წერეთლის გაგზავნა საქმარია არ იყო. ამისთან ჩვენ არ გვქონდა საშუალება გამოგვეტანა უღელტეხილზე, რადგან ხან პურიც თუ გვქონდა მზად გადმოტანა გვიძნელდებოდა. ხან გამოტარება იყო შეუძლებელი, ხან კიდევ 2-3 ფასს გვაწოდნენ გამოსატანს.



ასე რომ ჩვენ საშუალება არ გვქონდა პური საუფლებოვნოდ გადმოგვეტანა.

ავიღოთ ახლა მეორე ჩვენი ახლობელი მეზობელი ქვეყანა, ადერბეიჯანი. ადერბეიჯანის მთავრობას აქრძალული აქვს პურის გამოტანა თვის სახელმწიფოდან. მაგრამ ჩვენ ხელშეკრულება შევკარით, რომლის ძალით ჩვენ ამ დღეებში უნდა დავიწყოთ გამოზიდვა პირველ პარტიის პურისა და ქერვისა. სულ 80 ათასი ფუთი ქერი და ხორბალია.

ამის გარდა, უმთავრესი ყურადღება ჩვენი მთავრობისა მიქცეული იყო ყუბანისა და უკრაინის ქერისა და პურის შემოსატანად. მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ ამას შეესწრო ის ძალა, რომელიც ჩვენ მუდამ გვიშლიდა ხელს, სამოქალაქო ომი, და ეხლაც შეგვიშლია ხელი იმ არეულობაში, რომელიც იყო იქ.

მაგალითად, ტუაპსეს მიმართულებით ჩვენს აგენტებს შეგროვილი ჰქონდათ 60 ათასი ფუთი ერთ ნაფთსადგურთან, მაგრამ ჩვენმა ჯარმა ამ სადგურიდან უკან დაიხია და ვერ შესძლო პურის გამოტანა. არ მახსოვს ის უღელტეხილი, რომელიც არის ბელორეჩინსკაისა და ტუაპსეს შორისა. ეხლა ჩვენმა ჯარმა დაიკავა ტუაპსე, მაგრამ სანამ მდგომარეობა მოწესრიგებული არ არის, ამის გადმოტანაზე ლაპარაკი შედევთა.

მაგრამ ჩვენ მოგვივიდა მეორე ცნობა უფრო სასიამოვნო, ეკატერინოდარის აგენტიდან, რომელიც იყო გაგზავნილი ყუბანის მთავრობასთან. ყუბანის მთავრ. თავმჯდომარეს ბიჩს განუცხადებია, რომ ის და მისი მთავრობა მზადაა, რომ საქართველოს ყოველ თვე და თვე აძლიოს 100 ვაგონი პური. ჩვენი აგენტი იტყობინება, რომ ნაწილი ამ პურისა 25 ვაგონი უკვე მოდის ნოვოროსისისკში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის მოლაპარაკება, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონდეს ჩვენს წარმომადგენლის, გეგეჭკორის და მათ წარმომადგენლის შორის, — ეს მოლაპარაკება შექმნის ალბად ისეთ მეზობლურ მდგომარეობას, რომ გვექნება საშუალება გამოვიტანოთ 100 ვაგონი პური.

გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს დაპირება გერმანიის მისიისა, რომელიც გვპირდება, რომ ახლო მომავალში იგი მოგვეტანს 3 ათას ტონ პურს. (გ. ვეშაპელი: მახშანოვის დაპირება?)

ამასთან უნდა მოგახსენოთ, რომ უკრაინიდან პურის შემოტანა გავტკით, და მივეციოთ კაპიტალისტების ერთ ჯგუფს. რადგან ამ საკითხის შესახებ დაიწყო დიდი მოთქმა-მოთქმა საზოგადოებაში, ამიტომ ნება მომეცით ერთი წუთით ამაზედაც შევჩერდე.

როდესაც მთავრობამ გამოაცხადა, რომ პური უსათუოდ საზღვარ გარეთიდან უნდა შემოვიტანოთ, — ჩვენ მივიღეთ რამდენიმე წინადადება რამდენიმე ჯგუფისა, უნდა გითხრათ, რომ თითქმის ყველა კაპიტალისტებმა, თუ კაპიტალისტურ ორგანოებმა, რომელნიც საქართველოში არიან, და რომელთაც შეუძლიან პურის შემოტანა, შემოიტანეს ასეთი განცხადება. პირველი თხოვნა, პურის შემოტანის შესახებ, იყო ბატონ სიმქა რაას მიერ შემოტანილი, მაგრამ პირველსავე დღეს იყო უარყოფილი მისი თხოვნა მთავრობისაგან, რადგან ის თხოულობდა პურის მონოპოლიის საქართველოს ფარგლებში და ტრანზიტის მონოპოლიის ყველა საზღვრებში.

ამის შესახებ სამინისტრომ მიანდა კომისიას შეეძუშევიბინა ნორმალური პირობები პურის შემოტანის შესახებ და ეს ნორმალური პი-



რობები წარედგინა სხვა და სხვა კონტრ-აგენტისთვის. აქ მოხდა სწრაფად ის რაც ხდება ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში. სხვა და სხვა ნათავის იჯარით შემოტანის დროს. ხოსტარიას გაუჩნდა მთავარი მოწინააღმდეგე ჯგუფი: ეს მახშანოვი, (სავაქრო სახელი „კომერსანტი“), ქუთაისში „აქროს გრძი“, ძეგველოვა, აქაური სხილი ვაქრები და კიდევ სხვები. ამ შემთხვევაში მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო: შინაურ კაპიტალისტებას ბრძოლა, ბრძოლა 2 ჯგუფის შორის, ძეგველოვის გამონაკლისით, რომელმაც განაცხადა, რომ პროცენტები დაკლებულია და მონაწილეობას აღარ მივიღებო. მეორე მოწინააღმდეგე ჯგუფი, რომელმაც შემოიტანა ასეთივე განცხადება იყო „აქროს გრძი“. ბატონ სოშტარაძეს ასეთ ფაქტს მე ხაზს უსვამ. მას შეეძლო შშვენიერად ამ საქმის ასრულება, მაგრამ ასე არ მოიქცა. მას შემდეგ, რაც ზოგიერთ მოწინააღმდეგებმა უარი განაცხადეს პურის შემოტანაზე, დარჩნენ ერთი მხრივ ხოსტარია და მეორეს მხრზე მახშანოვი, შაშავა, ჩაქოვანი და სხვა.

როდესაც ასეთი მდგომარეობა იყო, მთავრობამ ამოიჩინა კომისია სამ მინისტრისაგან შემდგარი, და დავიწყეთ მოლაპარაკება ამ საქმეზე. უნდა ვითხრათ, რომ ორთვე მხარემ მიიღო ის პირობები, რომელნიც შეიმუშავა მთავრობამ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ აქ მოხდა ერთი მოვლენა, რომელნიც დღესაც ვერ ამიხსნია. ერთ შშვენიერ დილას, როდესაც პრინციპიალურად უკვე საქმე გადაწყვეტილი იყო და ხელშეკრულებაზე ხელი უნდა მოგვეწერა, მოგვევიდა ქალაქი ბატონ სოშტარაძესა თუ არ ვიცო, მისი რწმუნებულისა, რომლის პირობები მიუღებელი იყო. მეორე დღეს მე გამოვიწვიე ბატონი სოშტარაძე. აქ უნდა მოგახსენოთ, რომ იმავე დღეს შემოვიდა მეორე ქალაქი ახალი კონტრაგენტის შტრანჯისა. ის ვინც არის დიდი ხანია კარგად ვიცი. დიდი ვაქარია ქალაქ ნოვოროსისისკში. ის იწერებოდა: საქმე კარგად ვიცი და ეს საქმე მომომანდეთო, როგორც კერძო ლაპარაკით ვიცი, ჩემს მოხელეებისაგან, ხოსტარიაას როგორც ამბობენ ნელში ჰყავს შტრანჯი და ამისთანა ვაქრები. მე გამოვიწვიე ხოსტარია და უთხარი, რომ ასეთ პირობებში უარის თქმა ხელის მოწერაზე არის დანაშაულობა საქართველოს სახელმწიფოს წინაშე. სოშტარაძემ სთქვა: ჩემზე რაღაც ცუდი ხმები დადის, მე მინდა რომ ლაპარაკი საბოლოოდ მოვსპო, ვტოვებ ყოველივე „საქმეს“ და მივდივარ საქართველოდან. (გეშაქლი: სპარსეთში) მე უთხარი: თქვენი საქმეა წახვალთ თუ არა, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ თქვენ უსათუოდ უნდა აგელოთ დღევანდელ პირობებში პურის საქმე. ასეთი დათანხმებით გათავდა ეს ბაასი. ხოსტარიაამ განაცხადა: რადგანაც საკითხი ასე დასვით, როგორი პირობებიც გინდა შეიმუშავოთ, თუნდაც ჩემი საზარალო, მე უსათუოდ ამ საქმეს გავაკეთებო. მე დღეს მივდივარ სოფელში და ჩემს ვეკილებს დაუტოვებ ქალაქს ამ საკითხის შესახებ. ხოსტარია წავიდა სოფელში. მოვიდა იმისი ვეკილი ანდრონიკაშვილი, თუ სხვა არ მახსოვს, ჩვენ თითქმის უნდა მოგვეწერა ხელი, მაგრამ მოიტანა 2 „პრიმენაიე“ ერთი „პრიმენაიე“, შენიშვნა, ისეთი იყო, რომ მივიღეთ უცვლელად, მაგრამ მეორემ გავვაოცა. მეორე შენიშვნაში ეწერა, რომ სოშტარაძემ უნდა მიიღოს ყველა შემოტანილ პურზე რუსული ფული. აქ იყო თავმჯდომარე საფინანსო და სავაქრო კომისიისა, აქ იყო იმ დროს ფინანსთა მინისტრის ამხანაგი და სხვა ფინანსისტები, და ეს ფინანსისტებიც არ იყვნენ საქარონი, იმისთვის, რომ



გვეთქვა: ეს პირობი ჩვენთვის მიუღებელი იყო, რადგანაც ამოდენა რუსული ფული (გუგუშვილი: ფარშივი შეიძლება) იყო საჭირო, რაინაში ისეთი მაგარი ფასებია გამოცხადებული, რომ ჩვენ შეუძლებელი იქნებოდა ვიფიქროსოთ. მაშინ იმან შემოიტანა შესწორება რუსულ ფულის მაგურ მოგების განსხვავება „ლაეა“ მიგვეცა. ამაზედაც კონტრაქტული უარი განუცხადეთ. მაშინ მათ მოითხოვეს რომ მათ ვაძლიათ უფლება, ზოგიერთ სიკონლის გატანისა საქართველოდან. მაგრამ, რადგანაც ცნობილი ვახდა, რომ ამ პირობების მიღება ჩვენთვის შეუძლებელია, ჩვენ მაშინ დაგვრჩა მხოლოდ ერთი კონტრ აგენტის გამოცხადება შტრანჟი. (გ. გუგუშვილი: რაღა აქეთ ათითებთ უფრო მარცხნივ). ეს არ ვიცი შეიძლება ინერციით არის გამოწვეული, შეიძლება სამართლიანიც იყოს. შტრანჟი გამოცხადდა და შემოიტანა წინადადება, რომ ხომტარაისთან ერთად იღებს საქმეს. მაშინ ისეთი მდგომარეობა იყო, რომ რასაკვირველია ჩვენ არ გვკონდა საშუალება არ მოვეწერა ხელი ერთ კონტრ აგენტთან, რომელიც ჩვენ წინაშე იყო. ეს გახლდათ შანსანოვი. მან განაცხადა, რომ სჯერდება ყველა პირობებს, შინადა შემოიტანოს 20 ათასი მანეთი და შეუდგეს საქმეს. (გ. გუგუშვილი: არ შეეძლიანთ წაგვიკითხოთ პირი ხელშეკრულებისა? თუ გნებავთ, თუ საჭიროა, კი. (მიმართავს თავმჯდომარეს მომცემთ ნებას) თავმჯდომარე, ინებეთ.

გ. ხაბაძე: შინასტრა. ეს პირობა რუსულად არის დაწერილი ნება მომეცით წავიკითხო. (კითხულობს მაშინანოვთან დადებულ ხელშეკრულებას).

Договоръ.

Гор. Тифлисъ. Июля 31 дня, 1918 года.

Мы, нижеподписавшіеся, Правительство Грузинской Демократической Республики въ лицѣ товарища министра путей сообщенія и продовольствія Пармена Ивановича Сабашвили, министра земледѣлія Ноя Георгіевича Хомерики и министра торговли, промышленности и финансовъ Георгія Дурмишхановича Журули съ одной стороны и т/д. „Коммерсантъ“, въ лицѣ его представителей: Николая Іосифовича Канчели и Григорія Ильича Магалова, тифлисскій гражданинъ Степанъ Григорьевичъ Мазмановъ, Леванъ Владимировичъ Чиковани и горный инженеръ Барнабъ Аввакумовичъ Папава, именуемые ниже словомъ „контрагенты“ заключили между собой настоящій договоръ о нижеслѣдующемъ:

1. Мы, контрагенты обязуемся закупить и доставить Правительству Грузинской Дем. Республики отъ *четыре* до *шести миллион*овъ пудовъ хлѣбныхъ грузовъ въ зернѣ и перемолотомъ видѣ по обоюдному соглашенію и по ознакомленію съ условіями на мѣстахъ закупки.

2. Закупка хлѣба за наличныя деньги, или приобрѣтеніе его въ обмѣнъ на мѣстные товары и продукты (грузинскіе провенасы) будетъ производиться нами, контрагентами въ



предѣлахъ черноморскихъ и азовскихъ портовъ (Одесса Николаевъ и проч.) и прилегающихъ хлѣбныхъ районовъ мыши, Украины и Кубанской области.

Примѣчаніе: Въ случаѣ мощей въ томъ встрѣтятся на-
добности правительство размѣниваетъ контрагентамъ боны
на русскіе кредитные билеты для закупки хлѣба за налич-
ный расчетъ, въ общей суммѣ до одного милліона рублей.
(*ქონიფიკაციაზე: ჯერ ანაღურნი დავციხებრდავებია*).

3. Закупленный хлѣбъ будетъ направляться нами, контр-
агентами, въ Поти или другіе порты Грузинской Республики
по указанію министра продовольствія, которое черезъ пра-
вительство оказываетъ содѣйствіе для полученія соотвѣт-
ствующаго тоннажа.

4. Поставляемые продукты должны удовлетворять сред-
нимъ пробамъ текущаго урожая и имѣющихся свободныхъ
запасовъ. Провозка качества грузовъ съ указанной пробы
производится представителями м-ва прод. въ присутствіи
контрагентовъ на мѣстахъ закупки.

5. Въ виду отсутствія въ настоящее время (по свѣдѣ-
ніямъ контрагентовъ) на Черномъ и Азовскомъ моряхъ па-
роходоѡ, или иныхъ подходящихъ судовъ, могущихъ быть
свободно зафрахтованными контрагентами, правительство не-
посредственно, или при содѣйствіи черноморскихъ властей,
оказываетъ контрагентамъ содѣйствіе для полученія тоннажа
и представляетъ на особыхъ условіяхъ свою пароходную
флотилію.

6. Страхованіе отъ огня, аварія или морского и военно-
го риска и народныхъ волненій производится конт-ми на имя
правительства въ суммѣ стоимости груза плюсъ 30% фран-
ко Поти.

Въ случаѣ гибели груза, правительство получаетъ стра-
ховую премію непосредственно отъ страхового о-ва, а контр-
агентамъ неотлагательно выдаетъ стоимость погибшаго
груза плюсъ 5% а остальное обращаетъ въ пользу казны.

7. Стоимости закупленныхъ контрагентами хлѣбныхъ
продуктовъ, а также всѣ расходы по храненію, погрузкѣ,
страхованію ж-д-ной, путевой и морской перевозкѣ, порто-
вые и всякіе другіе расходы по закупкѣ означенныхъ про-
дуктовъ производятся контрагентами за свой счетъ, при
чемъ, какъ покупная цѣны, такъ прочіе, производимые контр-
агентами расходы удостовѣряются представителями прави-
тельства на мѣстахъ закупки и расходовъ, гдѣ таковые
представители должны имѣтся.

8. За закупленные контрагентами продукты правитель-
ство уплачиваетъ имъ, конт-амъ ихъ полную себя стоимо-
сть съ начисленіемъ комссіонныхъ 5 проц. на эту стои-
мость.

9. Причигающіяся суммы выплачиваются контр-амъ не

позже 10 дней по доставкѣ партій товары въ Поти или вь другой портъ по назначеніе правительства, при чемъ контрагенты должны быть акредитованы въ портахъ отправки противъ предъявленія отправочныхъ документовъ. Вообще же, если контрагентами будетъ установлено соглашеніе съ какимъ либо кредитнымъ учрежденіемъ относительно оплаты счетовъ за закупленныя ими контр-амъ, партій хлѣба, то правительство обязывается гарантировать тому учрежденію отсутствіе какого либо риска отъ реквизиціи.

10. Съ прибытіемъ грузовъ въ порты назначенія и сообщеніемъ контрагентами министру продовольствія, или его мѣстному агенту спецификаціи ихъ, грузы эти считаются сданными подъ охрану правит-ва, которое обязывается принять дѣйствительныя мѣры охраны. Пвибывшіе грузы неотлагательно принимаются пріемщикомъ правительства.

11. Означенное въ п. 1 настоящего договора количество хлѣбныхъ грузовъ контрагенты обязаны доставить въ порты назначенія въ теченіи срока отъ 6 до 10 мѣсяцевъ со дня подписанія договора, при чемъ поставка въ теченіи какого либо мѣсяца не должна быть менѣе 200,000 (двухсотъ тысячъ пудовъ).

12. Первая партія хлѣба должна быть доставлена въ Поти не позже шести недѣль со дня подписанія настоящего договора, въ какой срокъ контр-ты должны быть снабжены всѣми необходимыми разрѣшеніями и полномочіями къ органамъ Нѣмецкаго и Австрійскаго командованія и Украинскимъ властямъ.

13. мѣшки для транспорта продуктовъ продовольствія предоставляются контр-амъ въ потребномъ количествѣ правительствомъ, при чемъ контрагенты вносятъ въ обезпеченности ихъ сохранности залогъ въ размѣрѣ 5 рублей за мѣшокъ. Полученные отъ Правительства мѣшки, не возвращенные съ грузомъ, контр-ты обязуются сдать обратно въ цѣлости. Погрузка зерновыхъ продуктовъ можетъ производиться также и насыпью, при чемъ вѣсъ опредѣляется при погрузкѣ на пароходы.

14. Для экспорта товаровъ и продуктовъ изъ предѣловъ Грузіи въ Украину, Германію, Румынію или Болгарію Правительство предоставляетъ контрагентамъ преимущественное право на пріобрѣтеніе и вывозъ, на одинаковыхъ съ другими соревнователями условіяхъ, виноградныхъ винъ бывшаго Удѣльнаго вѣдомства, коньяка и прочихъ спиртныхъ напитковъ на покупку лѣса и право свободной покупки и вывоза иныхъ привозныхъ и мѣстнаго производства товаровъ и продуктовъ, допущеннымъ правительствомъ Особой Комиссіи по товаро-обмѣну къ вывозу изъ нашей страны.

15. Правительство обязуется снабдить контр-ты всѣми необходимыми удостовѣреніями и полномочіями, какъ отъ



своего имени такъ и отъ Германскихъ властей къ своимъ агентамъ и къ органамъ Германскаго командованія въ дѣлахъ оказанія таковыми — содѣйствія въ выполненіи агентами настоящаго договора. Въ эти удостовѣренія должны быть включены предложенія къ агентамъ Грузинской республики и просьбы къ органамъ Германскаго командованія объ освобожденіи товаровъ и продуктовъ контрагентовъ отъ всякаго рода реквизицій и секвестровъ, равно объ охранѣ ихъ отъ расхищеній гдѣ-либо въ пути и на жд. ныхъ портовыхъ, или частныхъ складахъ, амбарахъ, баржахъ и проч. хранилищахъ на территоріи Грузіи, это обязательно.

16. Въ обезпеченіи аккуратности поставки, контрагенты вносятъ въ казначейство въ депозитъ мин. Продовольствія 250,000 (двести пятьдесятъ тысячъ) руб. деньгами, либо обезпечиваютъ таковой залогъ недвижимымъ имуществомъ на токовую сумму.

17. Залогъ можетъ быть возвращенъ контр-амъ при неисполненіи или договора лишь въ томъ случаѣ, если правительствомъ будетъ найдено, что создавшіеся условія дѣйствительно не дали возможности контр-амъ выполнить по ставку (напр. невозможности полученія тоннажа и проч.).

18. Правительство имѣетъ право прекратить дѣйствіе настоящаго договора, объявивъ, о томъ контр-амъ за два мѣсяца до момента его анулированія, при чемъ закупленный контр-ами товаръ правительство обязано принять на вышеуказанныхъ условіяхъ.

19. Предварительный гербовый сборъ при подписаніи настоящаго договора въ размѣрѣ 2 хъ рублей, а равно оплаты расписокъ въ пріемъ хлѣба и др. товаровъ оплачивается за нашъ контр въ счетъ.

Настоящій договоръ составленъ въ двухъ экземплярахъ, одинъ изъ коихъ хранится въ министерствѣ Продовольствія, а второй у контрагентовъ.

Товарищъ министра путей сообщенія и продовольствія *П. И. Сабашвили.*

Министръ земледѣлія *И. Хомерики.*

Министръ финансовъ, торговли и промышленности *Г. Д. Журули.*

П. Г. Канчели, С. Гр. Мазмановъ, Б. А. Папая, И. В. Чиковани.

თი ეს არის პატონებო ის ხელშეკრულება, რომელიც დადებო მან პანოთან (ეგშაპელი: რა მდგომარეობაშია ეხლა საქმე?) თუ ასე ვრცელად შევხებით ამ საკითხს, მხოლოდ იმისთვის, რომ საზოგადოების ვარკვეული წრეები ამ საკითხით, აღბად ამ ჯგუფების მეშვეობით, დაინტერესებული იყვნენ: მიიღებენ ის კონტრაგენტები იმ პირობებს, რომელთაც წარმოუდგენლით თუ არ მიიღებენ. და ეხლა ისინი აწარმოებენ ასეთ ბრძოლას ჩვენს წინააღმდეგ.

ჩვენ ამ ჩვენი მოხსენებიდან, რომელიც მე მოვიყვანე, ამ ფაქტე-

ბიდან, დაერწმუნდებით, რომ მთავრობას და იმ სამინისტროს, რომელიც მოაწერეს ხელი ამ ხელშეკრულებაზე სხვა გამოსავალი არ არსებობდა. ეხლა საქმე ასეთ მდგომარეობაშია. მართალია დღეს ვითარება ვადა, ის ექვსი კვირა, როდესაც მათ უნდა საქონელი შემოეტანათ, მაგრამ იმათ შემოიტანეს თხოვნა, რომ ეს ვადა გაგვეგრძელებინა. და თუ შევედვიარ მთავრობასთან განსაკუთრებულ მოხსენებით, რომ ეს ვადა ცოტა გააგრძელოს, რადგან ჩვენ გვაქვს ცნობა, რომ ისინი შეფერბებულ იყვნენ და ეს შეფერბება გამოწვეულია იმით, რომ ჩვენ ვერ მივეცით საშუალება, რომელიც ხელშეკრულებით აღუთქვით, პირველ დღეებშივე ვერ უშოვნეთ გემი, ვერც მივეცით საშუალება იმ საქონლის ყიდვისა, რომელიც უნდა გაეტანათ საქართველოდან, მათ ვერ იყიდეს დროზე ლინო და სხვა საქონელი რაც უნდა გაეცვალათ. თუ შეხსიერება არ მატყუებს მარიაშობისთვის დამლევს 27 და 28 გავიდნენ აქედან. ეხლა კი ჩვენს აგენტისაგან გვაქვს ცნობა, რომ შეუკრავთ კავშირი უკრაინაში დიდ ფირმებთან, როგორცაა „ტუბინს“ და სხვებთან. ნაწილი პურის უკვე ნაყიდა და მე ვფიქრობ, რომ ამ საქონლის შემოტანა შეიძლება შეადგინოს მხოლოდ მარტო იმან, რომ გერმანელებმა არ მისცენ უკრაინიდან პურის გამოტანის ნებართვა. მხოლოდ ეხლა გენერალმა კრესმა განგვიცხადა, რომ ბერლინში უკვე სათანადო ნაბიჯი არის გადადგმული, რომ თუ მთელი პარტია არა, ამ პურის ნაწილი მაინც შემოვიტანოთ აქ.


უნდა მოგახსენოთ, ამის შესახებ და სხვა საკითხის შესახებ, რომელთა გარშემო დიდი აურზაური არის ატეხილი, მე მგონი, მაგისტანავე საშუალებით, მაგალითად მარილის შესახებ აურზაური გამოწვეულია იმავე ჯგუფის მიერ, რომელნიც ეწეოდნენ ამ თავიანთ, ან და სხვების მეოხებით, მარილის ოპერაციების დროს სხვა და სხვა სპეკულიაციის სამინისტრო, რასაკვირველია არ ამლევდა საშუალებას ამ ოპერაციას. განხორციელებისას და ბევრს მათგანს ხელი შეუშალა ამ ოპერაციის განხორციელებაში და სპეკულიაციის გაწყვეაში.

ჩვენ დავამტკიცეთ ასეთი მოვლენა, რომ ბევრია ჩვენში ისეთი პატრიოტები, რომლებიც ქუჩაში ბევრს დაპარაკობენ თავიანთ პატრიოტობაზე, მაგრამ როცა საქმეზე მივაჯერ, ისინი სხვებთანაც გვიშლიან საქმის გაკეთებას. ისინი მოიხზოვენ იმაზე მეტ ფასს ვიდრე სხვები. თუ ბატონებო, მოკლედ ჩვენი სურსათის მდგომარეობა იმდენად, რამდენადაც ამ სურსათის შემოტანა შეიძლება უცხოეთიდან, საზღვარგარეთიდან.

თქვენ ხედავთ, რომ თუ ნორმალური პირობები შეიქნა, იმ ქვეყნებში, ისევ არ გაჩაღდა სამოქალაქო ომი, ჩვენ გვგეძნება საშუალება უსათუოდ შემოვიტანოთ ნაწილი ამ პურისა, და ამ პურის შემოტანა აუცილებლივ დასცემს იმ გასაოცარ ფასებს, რომელიც დღეს არის.

მაგრამ ხაზს გაუსვამ მეორე მოვლენას, თუ მართალია პირველი დებულება ბატონ აბმეტელისა, რომ სურსათის საქმის მოწყობა ბარონეტრია მთელ სახელმწიფო ორგანიზაციისა, და ეს მართალია, მაშინ რასაკვირველია უნდა უთხრათ ყველას მეტადრე მუშას და ჯარს, რომ რადგანაც არ არის სრულიად მოწყობილი სახელმწიფოს ცხოვრება, — მარტო სახელმწიფოს ცხოვრების ერთის მხრის, რომელიც ასე მკიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს ცხოვრებასთან, მისი ცალკე გამოყოფა ცალკე გაუმჯობესება და მისი კარგად მოწყობა — შეუძლებელია.

ჩვენ ჯერჯერობით არა გვაქვს შემუშავებული სავაჭრო პოლიტიკა



გაცვლა-გამოცვლისა ჩვენ სახელმწიფოს სხვა მნიშვნელობის მოწესრიგებული და სანამ ეს არის მოწესრიგებული რასაკვირველია ვერ ვიტყვი, ეს იქნება დატყუება ხალხისა, რომ უთხრათ, მალე კარგ პურს მოგიტანთო. ეს არის ფაქტიური მდგომარეობა სურსათის შესახებ.

თუ შედეგობაში მივიღებთ განცხადებას იმ რეგორგანიზაციის შესახებ, რომელსაც მოგაწვდით შემდეგ კრებაზე, ეს საკითხი გათავზულად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ აქ იყო ნათქვამი სხვა მიზეზი, რომელსაც არა აქვს კავშირი ამ სურსათის საკითხთან. უმთავრესი ბაზისი შეკითხვის ავტორისა არის ის, რომ ჩვენი მთავრობა პოლიტიკური ლოიალიზმით არის გატყუებულიო.

მე წინააღმდეგი ვარ, რასაკვირველია, იმ დაწესებულებების, რომელიც წსმოაყენა ახმეტელმა მე მგონია, რომ მთავრობა ვერ დაეთანხმა და ვერც დაეთანხმება. ვერ დაეთანხმება იმიტომ, რომ ჩვენი მთავრობა, და ცალკე მინისტრი, რომილსაც ეს მინდობილი აქვს, სასტიკ და მკაცრ ზომებს იღებს, რომ გარეშე ხალხი, არა მკვიდრი საქართველოსი, საქართველოში არ შემოვიდნენ, ვინც არის საქართველოში ისინი გავიდნენ და მათ მიეცეთ საშუალება გარეშე ქვეყნებში გასვლისა. ის ხალხი კი რომელიც აქ არისი შემოსული და ჯერ ჯერობით აქ იყოფება, მათ მიმართ ჩვენ ვერ მივიღებთ ისეთ რეცეპტს, რომელსაც იძლევა ბატონი ახმეტელი, რომ ჯერ მივცეთ მათ ვინც თავისუფალ საქართველოს ქვეშევრდომად ითვლებიან და მერე სხვებს. ჩვენ უპირატესობა შეგვიძლიან მივცეთ გარკვეულ დაწესებულებებს, როგორცაა: ჯარები, რკინის გზა, სხვა და სხვა დარგის მუშებს, ქალაქებს და ეროვნებს, მაგრამ თუ როგორ ვაანაწილებს ერობა და ქალაქი იმ პურს, რომელსაც ჩვენ მივცემთ ეს მისი საქმეა. ასეთი დირექტივის მიცემა, რომ მარტო ქართველებს მიეცეთო, ჩვენ ძალიანაც რომ გვინდოდეს, ასე ეგოისტურად შევხედოთ ამ საკითხს, არ შეგვიძლიან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სხვა ქვეყნებშიც არიან ქართველი ქვეშევრდომები. ბაქოში, მაგალითად, პეტროგრადში პური თურმე 20 მანეთი ღირს და იქ რომ გაიგონ, ბატონი ახმეტელი, თუ მინისტრი იქნება და ბრძანებას გასცემს: პური მარტო ქართველებს მიეცითო, იქაც ასე მოექცევიან ქართველებს. იტყვიან რომ იქ მინისტრმა ასეთი ბრძანება გასცაო და ქართველებსაც ასე მოეპყრობიან, და მე მგონია ქართველები არ დაგომდლიან ამ ინიციატივის გულისთვის.

აქ ლაპარაკობდნენ და ჩვენც ვამბობთ, რომ აგიტაცია პურის ნიადაგზე არის და მთავრობა ებრძვის როგორც ყოველ სხვა კონტრევოლიუციონურ აგიტაციას. ასე, რომ თუ ეს აგიტაცია სწარმოებს გარკვეულად ან პრესის საშუალებით ან და პარლამენტის, თუ ეს აგიტაცია ერთგვარ ფორმაში არის ჩამოსახული, ჩვენ ვებრძვიით ან პრესის საშუალებით ან პარლამენტის საშუალებით ან კიდევ ვაძლევეთ სასამართლოში, თუ ამ ჩვენი სასურსათო საკითხზე სახლვარს ვადავა და აჯანყებას მოაწყობს სხვა და სხვა ადგილას მაშინ, თქვენ იცით, თუ რა პასუხს აძლევს მთავრობა ამ აგიტაციას.

ცალკე გამოყოფა ამ საკითხისა არ არის საჭირო. უნდა მოვახსენოთ, რომ საქართველოს ხალხის დიდმა უმრავლესობამ, მე მგონია,



უკვე შეიგნო ჩვენი მდგომარეობა. ამის შედეგია იმ ანარქიის ჩაქრობა, რომელიც თითქმის ჩაქრა ჩვენს ყველა კუთხეებში. იმ პროვოკაციას, რომელსაც დიდი გასაჯალი ჰქონდა ყველა ჩვენს კუთხეებში, ორი თვის წინად, ეხლა გასაჯალი არ აქვს და ხალხმა თვითონ იცნო თვის მდგომარეობა. ამ მხრივ, მე ვფიქრობ, რომ ხალხი და სახელმწიფო ვერასოდეს ვერ შეიქმნება შურის მძიებელი იმ ხალხის მიმართ, რომელიც ავტორიტეტის ეწევა მთავრობის წინააღმდეგ. ეს რომ ასე იყოს, ბატონებო, მაშინ ჩვენ მტრებს, რომელთაც ჩვენ დავიჭერთ და ციხეში ვსვამთ, პური არ უნდა ვაჭამოთ. ბატონი ახმეტელი თავს აქანებს არა, რატომ, თუ ციხეში მჯდომ მტერს პური უნდა ვაჭამოთ, რატომ არ უნდა ვაჭამოთ ნამდვილ მოქალაქეს და იმ ლტოლვილებს, რომლებიც აიცილნენ აქ არიან. თუ ჩვენს ნამდვილ მოქალაქეს, რომელიც იარაღით ხელში იბრძვის მთავრობის წინააღმდეგ უნდა ვაჭამოთ პური რატომ არ უნდა ვაჭამოთ ლტოლვილებს? სახელმწიფო ამას ვერ დაადგენს. იგი ასეთ ნიადაგზე ვერ დადგება.

აქ მეფერი ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ პური არ არის. ხშირად ამბობენ, ეს უკანასკნელი ბრძოლის იარაღია, რომ ნოე ხომერიკი მიწის პოლიტიკამ დაღუპა სასურსათო საქმე. თქვენ უკვე გიბასუხებს, და თქვენ ვერ გააზოთილეთ ჯერ ჯერობით ის დებულება, რომ ამ მიწის პოლიტიკის წყალობით, გაცილებით მეტია ნათესი ვიდრე წინა წლებში. თუ თქვენ ხსნით, პურის გაძვირებას იმით, რა გაცილებით მეტია იკვებება, - (თქვენ არა ბატონო ახმეტელო, ამას სხვები ამბობენ). ეს მართალი არ არის იდეით ისეთი ქვეყნები სადაც მიწის დეკრეტი გაუქმებულია მაგალითად ოდესის და ხერსონის რაიონებში სადაც პური 3-4 და 10 შაური ღირს. ასე რომ ამ პურის გაძვირებას თვისი მიზეზები აქვს და ერთის ფაქტით ახსნა რასაკვირველია, შეუქმლებელია. აი მოკლედ ყველა ის, რაც უნდა შეთქვა დღევანდელ კრებაზე.

თავდადგენა. 64-ე მუხლი რეგლამენტისა ამბობს: მთავრობა შეტანილ შეკითხვის პასუხს მისცეს ან დაუყოვნებლივ ან ერთად ერთ მახლობელ სხდომაზე, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს ერთი კვირისა, დღიდან შეკითხვის საბჭოს სხდომაზე გამოცხადებისა. მთავრობის განუკვე მოისპინეთ პასუხი მიცემულ შეკითხვაზე. მთავრობა ამბობს, რომ ერთი კვირის განმავლობაში, ამ ახლო მომავალში, მთავრობა წარმოგიდგენთ უფრო ვრცელ გეგმას იმ სასურსათო კამპანიასა, რომელიც განზრახული აქვს აწარმოვას.

გნებათ მსჯელობა გააგრძელოთ თუ არა? სიტყვა გუთუნის საბჭოს წევრს არსენიძეს.

რ. ანსენიძე. (ს. დ.) სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით, უნდა მოვახსენოთ შემდეგი: მართალია შეკითხვა მეტის მეტად საყურადღებოა, მაგრამ ეს ერთი შეკითხვა არ იყო. იმ ერთ სიტყვაში, რომელიც აქ წარმოსთქვა ბატონმა ახმეტელმა, მრავალი შეკითხვა არის ჩაქსოვილი. შეიძლება საერთოდ მსჯელობა ამ კითხვებზე საყურადღებო იყოს, მაგრამ მსჯელობას ერთი მთავარი დერძი მაინც უნდა ჰქონდეს. საქორაო რაიმე გეგმა, რაიმე პლანი, რომლის გარშემო უნდა იტრიბოლოს კამათმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეკითხვის გამო, ძალიან ბევრს ვილაპარაკებთ და ვერაფერს კი ვერ გავაკეთებთ. კანონპროექტების შესახებ არ ვიტყვი, რომ ასეთი ქირი გვჭირდეს, მაგრამ



შეკითხვის გამო კი ხშირად ძალიან ბევრი ლაპარაკი სწარმოებს მაგრამ პრაქტიკული ზომები და ფაქტებიც იშვიათად გვინახავს.

ამ შეკითხვის შესახებ არაერთი გეგმა არ შემოუტანიათ. შეკითხვა არ დასმულა ისე სწორედ, რომ ჩვენ შეგვეძლოს მის გარშემო სასარგებლო კამათი დაგვეტრიალებინა.

მთავრობა ვებრძება, მახლობელ დროს, ერთი კვირის განმავლობაში, მოგაწოდოს ასეთ გეგმას. და თუ ეს ასე იქნება, მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასე მოხდება, რადგან მთავრობა მულამ თავის სიტყვას ასრულებს, ჩვენ დროებით კამათი გადავდოთ. მაშინ ვილაპარაკოთ ფაქტებზე, ალბად მაშინ მთავრობა უფრო საფუძვლიან გეგმას წარმოადგენს და კამათი უფრო საფუძვლიანი და წესიერი იქნება. მე წინადადებას ვიძლევი კამათი დღეს ამ შეკითხვის შესახებ მოისპოს.

თავმჯდომარე, სიტყვა ვკუთვნის საბჭოს წევრს გრიგოლ ვეშაპელს. გ. ვეშაპელი. (დამ. ერ. დემ.). თუ სოციალ დემოკრატიულ ფრაქციის ეს წინადადება არ არის რეგლამენტის იმ რიგის გარეშე პარაგრაფით შემოტანილი, რომლითაც რასაც გადასწყვეტენ ის საბჭომ უნდა მიიღოს, მაშინ უნდა მოგახსენოთ შემდეგი.

ერთის მხრივ, მინისტრმა განმარტება მოგახსენათ ყველა იმ საკითხზე, რომელითაც შეეხო საბჭოს წევრი ახმეტელი და, მეორეს მხრივ, რეგლამენტის იმ პარაგრაფის გამოყენებას, რომელიც ნებას აძლევს მთავრობას, რომ მან პასუხი ერთი კვირის შემდეგ გასცეს, — საბჭოს წევრმა არსენიძემ დაუმატა, რომ ამ შემთხვევაში მთავრობამ პასუხი ჯერ არ გასცა და ამიტომ კამათი გადავდოთ.

მე გგონია, ეს ისეთი წინააღმდეგობაა, რომ ეს მის არქიტექტურის და ლოლიკურ ასოციაციის საქმეა თუ რას სთვლის იგი მეტად მნიშვნელოვნად და რას სთვლის უმნიშვნელოდ. საბჭომ, როდესაც შეკითხვა მოისმინა, მსჯელობა განაგრძო და თუ მინისტრმა არაფერი უპასუხა შეკითხვის შესახებ, არამედ ეს იყო ერთგვარი დეკლარაცია შეკითხვის გამო მთავრობის იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც არის, და თუ მან ილაპარაკა და ეს იყო მთავრობის წევრის მიერ რიგ გარეშე გაცემული პასუხი, და არა ნამდვილი პასუხი, ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ერთნაირი მუხლი ამ საკითხზე. რეგლამენტი ამბობს, რომ მთავრობის წევრის განცხადების შემდეგ, კამათი თუნდაც კრება დაზურული იყოს იგი გაგრძელდება და თუ არ არის დაზურული თავის თავად ცხადია — საბჭოს წევრს უნდა ჰქონდეს უფლება თავისი აზრი გამოსთქვას.

შეიძლება სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ კრების დაზურვა მოითხოვოს, მაგრამ მე, დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით, გთხოვთ მსჯელობა განეარგმოს, თუ გნებავთ, რომ ჩვენც გვქონდეს აღებული სიტყვა იმის შესახებ რაც მინისტრმა ბრძანა.

თავმჯდომარე: ვინ არის მომარე რა კამათი ეხლა შევსწყვიტოთ და განვაგრძოთ მაშინ როდესაც მთავრობა წარმოადგენს ახალ გეგმას.

კამათი სწყდება, (ე. ვეშაპელი. უხაროდეს ხოშტარისა და მანმანოვს).

თავმჯდომარე. შემდეგი საკითხი ვახლავთ გერბის შესახებ.

კან. მაყაშაია. (დამ. კავ.). ბატონებო, ეროვნულ საბჭოს წევრო! მიშით და კრძალვით ამოვედი ამ ტრიბუნაზე. უნდა მოგახსენოთ, რომ მე იმ ვეჟილის მდგომარეობაში ვიმყოფი, რომლის კლიენტსაც



სასჯელი მოეღოს, და ეს სასჯელი წინასწარ გადაწყვეტილია თის მიერ.

ყოველ შემთხვევაში მე შევეცდები დავიცვა საქართველოს საერთაშორისო რაინდი, თეთრი გიორგი ყველა ბრალდებისაგან, რომ იგი მხოლოდ წმინდა არის და სპეტაკი რაინდი.

საქმის არსებითად გარჩევამდე, საქიროდ ვსთავლი შევეხო მოკლედ გერბის საკითხის ისტორიას.

გერბის საკითხი დაიბსდა ჩვენს მთავრობაში ამ ორი თვის წინად, ქართულ ფულის შემოღების იდეასთან ერთად. მაშინ ქართულ ფულზე საქირო იყო რაიმე ემბლემის გამოსახვა გერბზე. ამიტომ მოიწვია მთავრობამ მკოდნე პირები, მხატვრები, პროფესორები და მათთან ერთად შეუდგა ამ საკითხის განხილვას.

აზრების გაცვლა გამოცვლის შემდეგ ამ მკოდნე პირებმა ერთ ხმად სცნეს, რომ საქართველოს გერბზე უნდა იყოს გამოსახული თეთრი გიორგი, შვიდ მნათობებით. მაგრამ მთავრობის უმრავლესობა იმ ეამად არ დაეთანხმა იმათ და დაადგინა, რომ საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის გერბზე იყოს გამოსახული განთავისუფლებული ამირანი. ამისათვის კონკურსი გამოცხადდა, მაგრამ ეს კონკურსი არ შესდგა რადგანაც ჩვენ მხატვრების უმრავლესობას ძალიან ეუცხოვა განთავისუფლებულ ამირანის გერბზე გამოსახვა, და კონკურსში მონაწილეობა არ მიიღეს.

ამის შემდეგ გერბის საკითხი გადავიდა კომისიაში. აგვისტოს ხუთში შესდგა ამ კომისიის კრება, რომელსაც დაესწრენ ფინანსთა და განათლების მინისტრები, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ბ. ხაშტარია, ბ. ექვთიმე თაყაიშვილი, პროფესორი ჯავახიშვილი და კომისიის წევრები: ბ-ნი არსენიძე, აბაკელია, ამირეჯიბი და აგრეთვე წუწუნავა, შარაშიძე და სხვები. ამ კრებაზე კომისიამ მოისმინა ვრცელი, დასაბუთებული მოხსენება პრ. ჯავახიშვილისა. მკირე თათბირის შემდეგ, ერთხმად დაადგინა, რომ ქართულ გერბზე იყოს გამოსახული თეთრი გიორგი შვიდი მნათობით, ეს გადაწყვეტილება კომისიისა ეცნო ფრაქციებს და მთავრობას.

იმის შემდეგ ამ საკითხის ვარშემო ასყდა ერთი ალიაქოთი, ერთ ფრაქციიდან მეორეში გადავიდა და დღემდის არა ეშველა რა. და აი დღეს ეს საკითხი სწორი და ხეული გზით მოსული, თქვენ წინაშე სდგას და თქვენ მსჯავრს ელის.

მე ეხლა შევ ხეზი კომისიის პოზიციას, რომელსაც იგი აღდა იმ დროს როცა ამუშავებდა ამ გერბის საკითხს. მე ბევრს არაფერს ვიტყვი ამაზე. იყო წარმოდგენილი რამდენიმე პროექტი, განთავისუფლებულ ამირანზე შემდეგ, მიჯაჭვულ ამირანზე, კიდევ იყო წარმოდგენილი სხვა და სხვა პროექტები სხვა და სხვა პირები, ზღაპრებიდან ამოღებული მხეკები, რაში, ფრთოსანი რაში და სხვა.

რადგანაც ამირანის გამოსახულება გერბზე აღარ პოულობს მომხრებს, რადგანაც გეროლდიკის მხატვრებმა და მკოდნეებმა დამტკიცეს, რომ შეუძლებელია ამირანის გამოსახვა გერბზე, მე გადავალ პირდაპირ მეორე გმირზე, სპეტაკ რაინდზე, თეთრ გიორგი.

თეთრი გიორგი... აღმაღ თქვენ გაგირბენთ აზრი თავში, რომ იგი მაინცა და მაინც წმინდანი არის და მაშასადამე არ ივარგებს გერბისთვის. თქვენთან ერთად არც მე ვარ მომხრე რომ ქართულ გერბზე



რეოს გამოსახული რაიმე ქრისტიანულ მოძღვრობის სიმბოლო. თქვენთან ერთად მეც მივირს რად დასჭირდა შვეიცარიას ჯერის გამოსახულება თავის გერბზე. ჩვენ, მადლობა ღმერთს, კლერიკლების ხანა განვლეთ და უნდა მივესწრაფოდეთ სინილისისა და სარწმუნოების სრულ-თავისუფლებისაკენ. ამის და მიუხედავად, მე მაინც მომხრე ვარ თეთრი გიორგისა და აი რატომ.

ფაბულა თეთრი გიორგისა, როგორც მოგეხსენებათ, არ ეკუთვნის საქრისტიანო ეპოქას. ძველიდანვე უმთავრეს ღვთაებად, ყოველი საქართველოს ტომი სთვლიდა მთვარის ღვთაებას. ქრისტემ დაამხო წარმართთა ღვთაებები, მაგრამ ვერა გააწყო რა უმთავრეს ღვთაებასთან. მან, რასაკვირველია, ცოტა ნაკლები ხარისხით, მაგრამ მაინც შეინარჩუნა თავისი არსებობა, თეთრი გიორგის სახით. ხალხმა არ დაუთმო ქრისტიანობას თავისი საყვარელი მფარველი და გმირი. და არამც, თუ არ დაუთმო, ისეთი ვატაცებით და პატივის ცემით გარს შემოგებია, რომ ყველა ქრისტიანულ წმინდანებზე და თვით ქრისტეღმერთზე მალლა დააყენა. რით აიხსნება ის განსაკუთრებული პატივის ცემა და სიყვარული გიორგისადმი? ხალხში წარმოდგენილი აქვს წმიდა გიორგი როგორც მკველი, გულშემატკივარი, თუ დიდებული მფარველი მთაში მეცხვარისა და ბარად მშრომელ მიწად მომქმედ სალხისა. თეთრი გიორგი შველის ყველა გლეხკაცის ცხოვრებაში, ყველა წვრილმანებში. იგი აფრთხილებს, რჩევას აძლევს, იფარავს არა მარტო მანვე და სხვა არსებისაგან, არამედ თვით შურის მაძიებელ ღმერთისაგან და ქრისტიანების წმინდანებისაგან. იგი შუამავალია ღმერთის და ადამიანის შორის და ამ შუამავლობაში იგი მხარს უჭერს ადამიანს, ნამეტნავად დაბეჩავებულ ადამიანს, დაჩაგრულ გლეხკაცს, ნება მიბოძეთ ერთი ორიოდ ნიშუში მოგიყვანოთ, თუ როგორ იზიარებს ჩვენი ხალხი თეთრ გიორგის. მოგიყვანთ ამისთანა გადმოცემას: (კითხულობს).

„ერთხელ იესო ქრისტე, ელია წინასწარმეტყველი და წმ. გიორგი ერთად გზად მიდიოდნენ. ბევრი რომ გაიარეს, მოილაღნენ და ერთ ადგილას დასასვენებლად და პურის საქმელად დასხდნენ. იქვე მეზავრების მახლობლად ერთი მეცხვარე ცხვრის ფარას აძოვებდა. მიუგზავნეს ელია მეცხვარეს, სადილად ერთი ბატკანი მოგვეცეო. მივადა ელია მეცხვარესთან და უთხრა:

— „გულკეთილო მეცხვარე, ერთი ბატკანი მაჩუქე.“

— „თუნდ ნახევარი ფარა მიირთვი, ოღონდ კი შითხარ, ვინა ხარო“ უპასუხა მეცხვარემ.

— „მე ელია წინასწარმეტყველი ვარ. პურის მოსაველს გაძლევთ, თქვენ ყანას წვიმას ვუგზავნი ხოლმე და გლეხკაცის ჭირნახულს მფარველობას ვუწყევო“, უთხრა ელიამ.

— „ვაჰე! ჩემი ღმერთისა რომ არ მეშინოდეს, აი ამ კომბალით თავს გაგიტეხამდიო“

უპასუხა მეცხვარემ:

— „რათა, რაზედ ხარ ჩემზედ გულმოსულიო?“ ჰკითხა ელიამ.

— „რაზედა: დასთესავს პურს ერთ დღიურ მიწას საწყალი ჭვრივ-ოხერი ან ვინმე ლარიზ-ლატაკი, შენ მისდგები, არც აცივებ და არც აცხელებ, და იმ ყანას სულ სეტყვით ჩაულეწავო“.

დაბრუნდა ელია წინასწარმეტყველი ხელ ცარიელი თავის აშანა-



გებთან და უამბო ყველაფერი, რაც მეცხვარემ უთხრა. ახლა იესო ქრისტე წავიდა მეცხვარესთან და ბატკანი სთხოვა. — „თუნდა ნახევარი ფარა ინებე, ოღონდ კი მითხარი ვინა ხარო“, — უთხრა მეცხვარემ.

— „მე შენი უფალი ვარ, ქვეყნის შემოქმედლო“.

— „ვაჰმე! მიუფო მეცხვარემ, ჩემი ღმერთისა რომ არ შეშინოდეს, აი ამ კომპლით თავს გაგიტეხავდიო“.

— „ასეთი რა დაგიშავე შერე?“, ჰკითხა იესო ქრისტემ მეცხვარეს.

— „რა და ის რომ ჰაბუკს წუთისოფელს გამოასაღებებ ხოლმე, ბევრს ისეთ მოხუცებულს ადამიანს კი, რომელსაც ცხოვრება მოჰპებურებია, ცოცხალს ატარებ ხოლმე დედა-მინის ზურგზედო“ მიუფო მეცხვარემ.

ასე დაბრუნდა იესო ქრისტემ ცარიელ-ტარიელი. ახლა ადგა და წავიდა მეცხვარესთან წმინდა გიორგი. მეცხვარე რომ შეეკითხა წმინდა გიორგის ვინა ხარო, — უასუხა:

— „მე წმიდა გიორგი ვარ, გაქირებვის დროს რომ შემებვეწები ხოლმე, მე გიფარავთ ავი სულებისა და ეშმაკებისაგან და თქვენის მტანჯველის ხელისაგან გიხსნით ხოლმეო“.

მეცხვარემ რომ წმ. გიორგის სიტყვები მოისმინა, შესძახა: „მთელი ფარა მოამირთმევიო“ და მის წინ მუხლი მოყარა. პურის ქმას რომ შორჩენ იესო ქრისტემ კალთა დაიბერტყა და სთქვა:

— „ამ მინდორზე საუკეთესო მოსავლი მოვიდეს თითო ძნას ასი კლდი მოსავალი ჰქონდესო“.

წმიდა გიორგიმ იესო ქრისტეს ნითქვაში უამბო და უთხრა მინდორი მოხანიო. მეცხვარემ ასე მოიქცა. ხანმა გაიარა და ამ საკვირველმა მგზავრებმა შემთხვევით იმ ადგილზე გამოიარეს, სადაც ერთ დროს ისადილეს და იქ ებლა ხშირი ყანა იდგა. როცა წმინდა გიორგიმ შეატყობინა, რომ ეს ყანა სწორედ იმ მეცხვარეს ეკუთვნოდა, რომელმაც მას ერთხელ ბატკანი დაუჭირა, ელია წინასწარმეტყველს უთხრა, ერთი ამ მეცხვარის ყანას სეტყვა აწვივ და ჩაულეწეო. წმინდა გიორგიმ მაშინვე მეცხვარეს შეატყობინა და გააფრთხილა შენს ყანას განსაცდელი მოვლისო. მეცხვარემ საჩქაროდ თავის ყანა ორ ხარის ფასად ერთ ქერივ დედაკაცს მიჰყიდა. მოვიდა სეტყვა და ისე მირეგგ-მორეგვა ეს ქერივის ყანა, რომ ნათესის ნიადაგიც კი არსად სჩანდა. როცა იესო ქრისტემ მეცხვარის ოინები შეიტყო, მაშინვე ელია წინასწარმეტყველს უბრძანა ქერივის ყანა წინანდებურად აღადგინეო. ელია წინასწარმეტყველს იესო ქრისტეს ბრძანება ჯერ არ აესრულებინა, რომ მეცხვარემ წმინდა გიორგის ჩაგონებით ქერივ დედაკაცისაგან ყანა შეისყიდა; ელიამ, რომ წინანდებურად მოსავალი აღადგინა. მეცხვარემ პურის მკას მიჰყო ხელი და თითო ძნისაგან ას ასი კლდი გამოსავალი აიღო“.

კიდევ რამდენიმე ამგვარი თქმულება არსებობს, მაგრამ, აღბად, თქვენ დალლილი ბრძანებით და ამიტომ აღარ მოგაწყენთ თავს და პირ და პირ გადავალ თეთრ გიორგიზე, სპეტაკ რაინდზე, რომელსაც განუწყვეტლივ ებრძვიან.

თუ მალაღმა სასულიერო კასტამ, სასულიერო არისტოკრატიაში გამოასახენია ღმერთი შურის მამიებელი, მკაცრი დამსჯელი, მართალმა ხალხმა, დემოსმა გამოიგონა თავის მფარველი, კეთილნი გულშემა-



ტყეარი ქვრივ ობოლის შემნახავი, თეთრი გიორგი, ამით აინტერესდებიან პატივის ცემა, ის სიყვარული, რომელსაც უკმევს თეთრ გიორგის სიყვარულსა და ქართველი ტომი, განურჩევლად სარწმუნოებისა. თეთრ გიორგის, როგორც მოგვხსენებათ: ერთგვარად პატივსა სცემენ, როგორც ქრისტიანები, აგრეთვე მაჰმადიანები. თეთრი გიორგი, როგორც ქართველთა გულიდან წარმოშობილი სახიერება უკვე ჰკარგავდა თავის ინდივიდუალურ თვისებას, და თვით ხალხი ამიტომ სამართლიანის ხმით ეძახის მას ქართველების წარმომადგენელს, ქართველი—Geopriმ სამართლიანად ეძახიან უცხოელები საქართველოს—Georgie. და აღბად ძალიან გაიკვირვებენ, თუ თქვენ საქართველოს გერბზე არ დაისახა ეს სპეტაკი რაინდი, რომელიც გაქირავების დროს, ქარში და ლხინში მუდამ თავის ერთან არის, — კიდევ გავიმეორებ: თეთრი გიორგი საეკლესიო წმინდანი არ არის ამ სიტყვის ნამდვილ შინაარსით. ჩვენი საქმე არის ახლს აღვადგინოთ წინანდელი, პირველი სახე მისი, იგი ჰკარგავს იმ ატრიბუტებს, რომელიც შეჰმდეგ მას მიეცა სასულიერო კასტის მიერ. დავისახოთ, ისე როგორც იგი იყო უხსოვარის დროიდან დღეს დღეობამდე ქართველ ხალხის სასოებებით. ძეგნ იმით არ უღალატებთ არც ისტორიას, არც ჩვენ ერს. ამ ერთ საუკუნეში საქართველომ დაჰკარგა თავისი გამოსახულება. დღეს ჩვენ საქართველო აღვადგინეთ, მაშასადამე უნდა აღვადგინოთ ჩვენი თეთრი რაინდი, რომ ვამცნოთ ქვეყანას, რომ საქართველო დღეს კი არ დაიბადა, არამედ დიდი ხანია სცაუხლობს.

კომისიის აზრით, უნდა იყოს გამოსახული თეთრი გიორგი და აგრეთვე შეიდი მნათობი, რომელიც გამოსახული იყო ღროშაზე და სხვა და სხვა ძველ სახელმწიფოს რეგალიებზე, უნდა აღვნიშნო რომ 7 მნათობი და მთვარე 7 მთავარ თემების და სამმართველოების, გაერთიანებულ საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმბლო, თავის თავად, ლაშაზია.

გვგონია, რომ ამას ექნება ერთგვარი პოლიტიკური მნიშვნელობა, რადგანაც ერთი ამ მნათობთა შორის, მთვარე ნიშნავს შეერთებულ საქრისტიანო და სამაჰმადიანო საქართველოს. სიმბლოა იგი შეერთებისა.

სრულიად არაფერს გეტყვიოთ იმაზე, თუ რატომ არ გამოვიგონეთ ახალი რამე სიმბლო.

ფონტაზის საზღვარი არ აქვს, რა თქმა უნდა კარგის გამოგონა ბევრი რამესი შეიძლება, მაგრამ, მხოლოდ გამოგონება ვერაფერს ეტყვის ჩვენ გულსა და სულს. ამის გარდა უცხოელი ვერაფერს გამოიკითხავს იმაში. საეტეო თვალის ძებნაში, არ დავკარგოთ ჩვენ ჩვენი ძვირფასი ობოლი მარაღი.

ეტოვებ ამ კათედრას იმავე შიშით, მაგრამ რა თქმა უნდა მკირე ოდენის იმედით, რომ საქართველოს ბრველთ პარლამენტი დემოკრატიის მიერ შექმნილი, მხარს დაუჭერს, ხალხის, დემოსის მფარველს, მის შშვენიერ სპეტაკ რაინდს, თეთრ გიორგის და მის სახელს დაგვისახავს საქართველოს გერბზე.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ირაკლი წერეთელს. არაკლი წყნეთელი. (ს.-დ.) ბატონებო, გერბის საკითხზე მსჯელობა მეტად გაგრძელდა.

კერძო თათბირში, კომისიებში, ფრაქციებში ეს საკითხი დიდი



ხანია დასმულია და დღემდის არაერთი გადაწყვეტილება აღმოჩენილია.

სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში არ არსებობს ამ გერბის შესახებ სრული ერთსულოვნება და, რადგან ფრაქცია არ სთვლის გერბის საკითხს დიდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხად, ამიტომ მან გადასწყვიტა მისცეს თავის წევრებს თავისუფალი ხმის უფლება თავის აზრის გამოსათქმელად (ტაში).

ჩვენ ვფიქრობთ რომ სხვა ფრაქციებიც ამ თვალთ შეხედვენ საკითხს და ის, რის შესახებაც შეთანხმება ვერ მოხდა, გადაწყდება ხმის უმეტესობით ამ კრებაზე. მაგრამ მე მსურს რამდენიმე სიტყვით დავასაბუთო ის შეხედულება, რომელზედაც იღვა სოციალდემოკრატიული უმრავლესობა. ბატონმა მაყაშვილმა შეცდომით სთქვა, რომ ამირანის მომხრე აღარ არსებობს. სწორედ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის უმრავლესობა საქართველოს გერბისთვის საუკეთესოდ სთვლის ამირანის გამოსახულებას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გერბის საკითხი ორგანიზაციის შიდა საკითხია და ისე, როგორც საქართველოს მოუბდა, სტიქიურად მიღება ამა თუ იმ სახელმწიფოს გერბისა.

შეცნობითაა ჩვენ ვაგვიგონია თუ როგორ წარმოიშვა სხვა და სხვა სახელმწიფოში ღერბი. ჩვენ დავინახავთ, რომ იქ სადაც სახელმწიფო სტიქიურად, ხალხის შეუგნებლად, მოქმედებდა იქ სტიქიურად ხდება ესა თუ ის გამოსახულება სახელმწიფო გერბად.

რომელიმე მძლავრი ოჯახის წმინდა გამოსახულება, როდესაც ეს ოჯახი ხელმწიფის სახით დაეპატრონებოდა ქვეყანას—ეს გამოსახულება ხდებოდა შეუგნებლად სახელმწიფოს ღერბად.

ასე შეიქმნა ჩვენი ისტორიული გერბი, რუსეთისა და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოებისა.


მაგრამ არის მეორე გვარი პროცესი სახელმწიფოს გერბის შექმნისა და, მაშასადამე, ამ სახელმწიფოს ემბლემის მიღებისა.

როდესაც მთელი ქვეყანა თავის გერბად აცხადებს ამა თუ იმ გამოხატულებას, ეს არის შეგნებითი წარმოშობა სახელმწიფო გერბისა და შეგნებითი დასურათბატება ამ გერბისა და შინაგან აზრისა, სახელმწიფოს გერბისა.

ჩვენ ვიცით, რომ ხალხის მოწინავე ნაწილის შეგნებით და მიზნისათვის აღსდგა ძველი საქართველო.

ტრადიციის აღდგენა ძველი საქართველოსი სწორედ იმიტომ არის მიუღებელი ღერბის შირი, რომ არსებითად, როდესაც ჩვენმა ხალხმა მოისურვა და მოახერხა დამოუკიდებელ საქართველოს აღდგენა და საკუთარ სახელმწიფოს დაარსება, ის ხელმძღვანელობდა არა წარსულის აღდგენის სურვილით, არამედ სრულ ახალ ნიადაგზე ახალ დემოკრატიულ სახელმწიფოს და ახალ ტრადიციის დამკვიდრებით. ეს ის ხანაა ჩვენს ცხოვრებაში, რომლის მაგალითს იშვიათად წარმოადგენს ისტორია. მხოლოდ დიდი რევოლუციის დროს, როდესაც მთელი ხალხი აღფრთოვანებული იყო ახალი სახელმწიფოს იდეით, მხოლოდ ასეთ დროს გამოსქედაეს ხალხი ხალხის სახელმწიფოს და სახელმწიფოებრივ ემბლემას შეგნებით და არა სტიქიურად.

და ჩვენ რომ დღევანდელ სახელმწიფოს წარმოშობას დაუკვირდებით ჩვენ დავინახავთ უდიდეს მაგალითს. სწორედ ხალხის შექმნა



რომ თვის ზედს გამოსჭედავს, და ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ სახელმწიფოს თვით სახელმწიფოს ემპლემაში, სახელმწიფოს ღერძში, ვაზარდებთ ხალხის დღევანდელი ნამდვილი მდგომარეობა და ხალხის სულის სწრაფვა.

კლერიკალური ღერძი, როგორც აქ განაცხადა ბატონმა მაყაშვილმა, ხალხისთვის მიუღებელია: ამას გრძნობს თვით ბატონი მაყაშვილი, მაგრამ იგი მაინც ამბობს: წმიდა გიორგი არ არის თეთრი გიორგი, წმიდა გიორგი წარმოსდგა იმ გიორგისაგან, რომელიც კერპთაყვანისმცემლობის დროს იყო და ამიტომ ეს ღერძი არ არის რელიგიური ღერძიო.

ჩვენ ვიცით, რომ არც ერთი წმინდანი, თუ გინდათ აიღეთ ის წმინდა ელაა, რომელიც აქ თქვენ წაგიკითხათ, ყველა წმინდანი, რომელნიც ქრისტიანულ საყდარმა მიიღო, არ დაბადებულა ქრისტიანობის დროს. ყველა მათგანი კერპთაყვანისმცემლობის დროს იშვა. შემდეგ საქრისტიანო ეკლესია უპირველეს ყოვლისა შეეცადა დაენგრია ეს კერპები, მაგრამ როცა ვერ შესძლო, მაშინ ეს კერპები მონათლეს და დაარქვეს ქრისტიანების სახელი. მაშალად ამ სახით მისაღები გაჩადა საქართველოში წმიდა გიორგი. წმიდა გიორგის და თვით თეთრ გიორგის ერთი და იგივე გენეოლოგია ისეთივე ძველია, როგორც სხვა წმინდანებისა. ხალხის წარმოდგენაში, თეთრი გიორგი, რომელიც მიიღო მან და სულღერად გარდაქმნა, არის იგივე წმინდა გიორგი.

ამიტომ, ის ვინც ამბობს, რომ კლერიკალური ღერძი შეუდგრებელია ჩვენს სახელმწიფოსთვის, მათ უნდა ლოლიკურად იმსჯელონ და პრაქტიკულად უარყონ თეთრი გიორგი. მე ვიცი, ბევრი იცინის, რომ თეთრი გიორგი და წმიდა გიორგი სხვა და სხვა არის და ერთი და იგივე არ არისო. მე მგონია, რომ ეს სიცილი უცოდინარობის მანქანელია.

მე მგონია, აქ ძალიან განათლებული ობოზოკია გვყავს, მათაც იციან გენეოლოგია წმინდანებისა სხვა და სხვა ხალხის კერპთაყვანისმცემლობის დროს ვაღმოცემებიდან, ისინი აღმოაჩენენ თვითუღელდის ქრისტიანულ წმინდანს კერპთაყვანისმცემლობაში. მაგრამ თუ მაინც და მაინც საცილი შეუძლიანთ, მგონია, სულ სხვა მიზეზით, რომ მათ არაფერი აქვთ თეთრი გიორგის წინააღმდეგ და კიდევ უფრო არაფერი აქვთ წმიდა გიორგის წინააღმდეგ. (ეგშაჰედა, წითელ გვარდიაში მოითხოვა საქართველოს დროშა თეთრი გიორგით) ბატონო? (ეგშაჰელი იმეორებს) რაც შეეხება წითელ გვარდიის მოთხოვნაზე, კიდევ კარგია, ბატონი ეგშაჰელი ერთხელ მაინც უწყევს ანგარიშს წითელ გვარდიის მოთხოვნაზე, მაგრამ უნდა მოეგონო ბატონ ეგშაჰელს, რომ წითელ გვარდიის საუკეთესო წამომადგენლები ჩვენთან ერთად მსჯელობდნენ ამ გვრძის შესახებ და სწორედ იმათ ამირანს დაუქირეს შარი. და თუ თქვენ წითელ გვარდიის აზრი საბუთად გამოგადგებათ ამ საკითხის ვადაწყვეტაში შეგიძლიანთ მისცეთ მათ ამირანის დროშა. (ეგშაჰედა: ტუაფსეს ფრონტიდან) დიხ! ტუაფსეს ფრონტზეა წითელ გვარდიის მეთაური ვალიკო ჯუღელი, რომელიც თავგამოდებით იცავს სწორედ ამირანს.

ყოველ შემთხვევაში ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ ეს საკითხი იმის



და მიხედვით თუ რა შედეგებზე ხალხის სურვილს. და მეტივერება შექნება წინააღმდეგ იმისა, თუ მთელი ეროვნული საბჭო მოქმედებს საკითხის ისე გადაწყვეტას, თუ რას იტყვის წითელი გვარდია. მე პირადად არაფერი მაქვს ამის წინააღმდეგ (წ. ივანეცკა: თუ დიდ შნიშენელოვანი პოლიტიკური საკითხი არ არის?). პოლიტიკური საკითხი თუ არ არის, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვსურს, რომ გარკვეულად წარმოვადგინო სხვა და სხვა აზრი ამ საკითხზე და საბჭომ მიიღოს ის რაც სწორედ გამოხატავს ხალხის სურვილს. რასაკვირველია, კარგია დიდ შნიშენელოვან საკითხების სწორე გადაწყვეტა, მაგრამ მეორე ხარისხის საკითხები, რომ სწორედ გადაწყვიტოთ სჯობია, ვიდრე შემდეგ არეული გზით ვიაროთ.

მე ვფიქრობ, ბატონებო, რომ ამირანი გამოხატავს სწორედ და საესგებით გადმოგვიცემს ჩვენი ხალხის დღევანდელ მდგომარეობას და შიშსწრაფებას. ყველა დამახასიათებელი თვისების ჩვენი სახელმწიფოს წარმოშობისა ამ შიშში გამოხატვა ჩვენ არ შეგვიძლიან. ძლიერა მოსილ რიანდად არ შეგვიძლიან გამოგხატოთ ჩვენი სახელმწიფოს წარმოშობის მომენტი, იმიტომ, რომ ჩვენმა ხალხმა სწორედ განიცადა ბევრი სასოწარკვეთილება და ბევრი თვის უდიდეს მისწრაფებაში დაპარცხებული გამოდგა სწორედ იმ დროს, როდესაც თავისი საკუთარი სახელმწიფო დაარსა, და ღდეს ისეთ ნაბიჯს ვსდგამთ, რომლის გამართლება, არც თანამედროვე კაცობრიობის წინაშე არ შეგვიძლიან, თუ ხელს დავაფარებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენ იძულებულნი ვართ დაუთმოთ ჩვენს მტრებს ამა თუ იმ საკითხში, ჩვენ სახელმწიფოს აშენების დროს—ჩვენი ხალხის საუკეთესო ნაწილი, ის რომელიც მისწრაფის თავისუფლების მოპოვებისკენ, არა მარტო თავისთვის, არამედ მთელ კაცობრიობისათვის, აი ეს არის აღმშენებელნი ჩვენი სახელმწიფოსა. სწორედ იმიტომ, რომ უდიდეს საკაცობრიო სოციალისტურ იდეალებს ემსახურება გარემორტყმულია ყვეაყორებით, შავი მოსისხლე მტერი გულს უფლეთავს, ებრძვის და სწორედ ამისთანა შავ ძალებს მსურს იმდენად დასაჯონ იგი, რომ ამ სახელმწიფოს თავისუფლება მოსტაკონ და ჩაუქრონ ზეციური ცეცხლი საკაცობრიო თავისუფლებისკენ მისწრაფებისა. ჩვენი ხალხი ვერ იტყვის, რომ მას ებლა ორივე ხელი თავისუფალი ჰქონდეს და ყველა მტერი მოგერიებული იყოს იმ დროს, როცა სახელმწიფოს აშენებს. ამას ჩვენ ვერც ჩვენ ხალხს და ვერც მსოფლიოს ვერ ვეტყვიოთ.

ჩვენი მდგომარეობის გასაგებად უნდა დავხატოთ ის მომენტი, როცა მტრებს იერიშები მოაქვთ ჩვენს წინააღმდეგ და ჩვენ ნახევრად ვმოქმედობთ, ხოლო ჩვენი მისწრაფება არის მიმართული სრულ თავისუფლებისა და სიპართლისაკენ.

ივანეცკა. (მდგომარეობა რომ შეიცვლება?)

თუ მდგომარეობა შეიცვლება, ბნებო, იცოდეთ, რომ სახელმწიფო ემბლემა, ჩვენი ღერბი გამოხატავს იმ მომენტს, როდესაც სახელმწიფო წარმოიშვა და მდგომარეობა თუ შეიცვლება ჩვენი ხალხის თავდადებულ მოოვიანეთა მეოხებით, ეს ღერბი ჩვენს მომავალ თაობას სასიქადულო ემბლემად ექნება იმისა, როდესაც მისი მამები აშენებდნენ თავისუფილ სახელმწიფოს და მთელი თავისი არსებით სრული თავისუფლებისკენ მისწრაფოდნენ, მაგრამ იმავე დროს ათას მტერს იგერებდნენ. და აი ეს მომენტი—ჩვენი სახელმწიფოს წარმოშობა—შექმნისა, იქნება განხორციელებული იმ ემბლემაში, იმ ღერბში, რომელსაც ჩვენი ხალხი თვის სა-

ბრძოლებელ ემბლემად აღნიშნავს. აი ამიტომ ჩვენ მომხრე ვართ იმისა, რომ საფსებიო გამოხატული იყოს სულიერი მისწრაფება ჩვენი ხალხის მისი ობიექტიური მდგომარეობა—იმ დროს, როცა შენდება ჩვენი სახელმწიფო, ჩვენ არ ვაპოვებთ, რომ ჩვენი პარტიული დროშა, ჩვენი პარტიული ღერძი დღეს სახელმწიფოს მიეცეს; როდესაც დროშაზე იყო ლაპარაკი ჩვენ საერთოდ ხან ვასმით აღვნიშნეთ, რომ ერთია ჩვენი პარტიული დროშა და მეორე ჩვენი სახელმწიფო დროშა. როცა სოციალისტური სახელმწიფო დაშვიდრდება ჩვენ საზღვრებში, ჩვენ ფარგლებში, უსათუოდ ჩვენი პარტიული დროშა აფრიალდება სახელმწიფოს სახელით. (ტაში).

დღეს ამირანის დროშა გამოხატავს არა მარტო ჩვენის ხალხის სოციალისტურ ნაწილის მისწრაფებას, არამედ ყველა იმ ნაწილის მისწრაფებას, რომელიც სრულ თავისუფლებისთვის იბრძვის, და რომელსაც ისე, როგორც სოციალისტებს, გზას უბოროკავს ვარეშე და შინაური შავ-ბნელი ძალა. და როდესაც ამირანის გამოხატულებას მივცემთ ჩვენ ღერძს, იქ გამოისახება მთელი ჩვენი ხალხის დემოკრატიულ ნაწილის სულიერი მისწრაფება და მისი დღევანდელი მდგომარეობა.

ამიტომ ჩვენ მხარს ვუჭერთ ამირანს, და ჩვენ ვფიქრობთ: თქვენ რომ ვახვიდეთ ხალხის იმ ნაწილში, რომელიც დღეს თავგანწირვით იბრძვის, იმ სახალხო გვარდიაში, რომალზედაც აქ ბ. ვეშაპელმა ბრძანა და რომ უთხრათ: ჩვენი საქართველო, პატარა დემოკრატიული რესპუბლიკა, გულდაფლეთილი, როგორც ამირანი მისწრაფვის სრულ თავისუფლებისაკენ და თუ ჯერ ეს თავისუფლება ვერ მოუპოვებია,— იმიტომ, რომ ძლიერნი არიან მტრები, რომელნიც მას დასვეიან და ამ მტრებს იგერიებს და ორი ხელი თავისუფალი არა აქვს, ისინი დაინახვენ თავის ნამდვილ მდგომარეობას, ნამდვილ მისწრაფებას, ყველა სხვა სურათი, და განსაკუთრებით, შე ვაპოვებ; ისეთი ძლიერ-მოსილი გმირის სურათი, რომელმაც უკვე თავისი სიძლიერით სძლია ყოველი დაბრკოლება,— ეს სურათი არ იქნება დღევანდელ მდგომარეობის ისეთი სწორი გამოხატველი, როგორც ის მიჯაჭვული ამირანი, რომელსაც ერთი ხელი აუშვია და მხნედ მტერს ებრძვის.

როდესაც ვეტყვით ჩვენს აზხანაგებს, მსოფლიო პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილს, და მთელ მოწინავე საერთაშორისო პროლეტარიატს, რა მდგომარეობაში ვართ და რისთვის ვიბრძვით, და თუ ჯერ სრულიად ვერ შევასრულეთ ჩვენი მოვალეობა,— ეს იმიტომ რომ მძიმე პირობებში ვართ, ვარშემორტყმული ვართ მტრებით და ჯერ ვერ მოვიშორეთ შავი ყორნები, რომელიც შიგნით და გარედან გყავს,— ამით ისინი გაიგებენ, გაითვალისწინებენ და ეს სურათი დაუბადებს უფრო ნამდვილ ცნობას, თანაგრძნობას და ნდობას ჩვენ დემოკრატიულ ნორს რესპუბლიკისადმი, ვიდრე ისტორიულ ტრადიციით აღდგენილი სურათი. რომელიც არ შეესაბამება დღევანდელ ჩვენ მდგომარეობას.

ამიტომ ჩვენი, სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის, უმრავლესობა ვეზბრობით ამირანის გამოხატულებას.

მოგონება რომ იყოს საქირო, მაშინაც, მართალია, ძნელია ასეთი რამის მოგონება, რომელიც ერთნაირად ცნობილი იყოს მთელ ხალხში ერთ ასოციაციას უძრავდეს მთელ ხალხს. მაგრამ იგი მოგონილი არ აოის. ეს მითი ამირანის შესახებ, რომელიც ცეცხლისთვის იბრძვის, გავრცელებულია მთელ კაცობრიობაში და გავრცელებულია მთელს ჩვენ



ხალხში, თავიდანვე ეს მიიღო კავკასიაში და შესისხლხორცებულია მთელი მსოფლიო ხალხთან. მსოფლიო ხალხმა იცის რომ ეს სურათი (სურათი) არის მთელი ხალხის შეგნებაში უკვე არსებობს, მთელ მსოფლიოზე ცნობილია.

რადგან ეს სურათი სწორედ გამოხატავს ჩვენ მდგომარეობას, მისწრაფებას, ჩვენს შეხედულებას—უნდა გახდეს ჩვენ რესპუბლიკის საბრძოლველ ღერძად.

თავმჯდომარე. სატყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს გრიგოლ ვეშაპელს.

ბრ. ვეშაპელი. (დამ. ერ. დემ.) ბატონებო, დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული, — (იასონ ლორთქიფანიძე: ვისგან?) — სპეკულიანტებისაგან... — ფრაქციის აზრი ამ საკითხში არის სახელმწიფოებრივი, ე. ი. ჩვენ ვიცავთ იმ ტრადიციას, რომელიც აქვს საქართველოს.

ჩვენ დღეს კი არ გავიგია, რომ ჩვენს სახელმწიფოს, ჩვენს რესპუბლიკას ტრადიცია არა აქვსო. ამას წინეთ, ბატონმა ყორღანიძემ, როდესაც სადიტატორო მოღვაწეობიდან დაისვენა, მოხსენება დასწერა საქართველოს კონსტიტუციისა და იქ ბრძანა, რომ „საქართველო დღეს არის tabula rasa“ . (სუფთა ფიციარი) რასაც გინდა იმას დასწერ, რადგან იგი არ არის შემოკვეილი არც ნაციონალური სახელმწიფოებრივი იდეოლოგიით, არც სახელმწიფო ტრადიციით“. ჩვენ ცოტა სხვანაირად ვფიქრობთ: თქვენ ეპვი არ დაგზადებით ჩვენი სახელმწიფოს სახელწოდებაში და დამოუკიდებლობის შემდეგაც ამ ახალ სახელმწიფოს უწოდეთ ნამდვილი სახელი საქართველოს სახელმწიფოსი, საქართველო. მეორე, თუ გნებავთ, ის დროშა, რომელიც თქვენ აქ დააკანონეთ და შესაძენ ის გერბი, რომელიც ეხლა უნდა დააკანონოთ, — აი ეს სამი ტრადიცია მაინც აქვს საქართველოს ისეთი, რომელიც არ შეიძლება რომ უარყოფილ იქმნეს, და რომელიც რესპუბლიკამაც უნდა დააკანონოს. თუ ისე ვიმსჯელებთ, როგორც ბატონი ირაკლი წერეთელი მსჯელობს, თუნდაც მთელ მის შეკრმეტყველებით, მაშინ ძალიან ძნელი იქნება იმის დამტკიცება, რომ ჩვენს სახელმწიფოს არ შეუცვალეთ სახელწოდება და ძველი სახელი საქართველო დაურჩინეთ. მით უმეტეს, რომ ამ სახელით უწინ აქ ისეთი სახელმწიფო არსებობდა, აი აქ ჩვენს ტერიტორიაზე ისეთი ხალხი გვყავდა, რომლის შინაურ და გარეშე პოლიტიკის ტრადიციები ოპისა ან ზავის დროს, შეიძლება, დღევანდელ პოლიტიკის მიხედვით, არა სასურველ მოგონებებს აღუძრავდეს ზოგიერთ მოქალაქეს, თუ მეზობელს. შეიძლება ასეთი ასოციაციები არ იყოს სასიამოვნო, მაშინ როდესაც მოდაშია ულტრა-დემოკრატიული საერთაშორისო პოლიტიკა. მაგრამ მაინც ასეთი გაბატონება მოდერნიზმისა ჯერ არ დაბადებულა და თქვენ სახელით მაინც დაუკავშირეთ სახელმწიფო ძველს საქართველოს, და ახალი სახელი არ გამოიხეით. მიიღეთ აგრეთვე დროშაც, ეხლა ჯერ არის ღერძზე.

ვიპროვებ, ჩვენ ვიცავთ ტრადიციას დაღერბიც უნდა ტრადიციული დააკანონოთ. ჩვენი მეცნიერნი და მოღონენი ამტკიცებენ, რომ აქყოფილა სახელმწიფო ღერძად თეთრი გიორგი. (ფერზე ვერაფერს ვიტყვი, მოგახსენებენ თეთრი იყო). აქ კი მოგახსენებენ, რომ ღერბი უნდა შეექმნათ დღევანდელ საქართველოს მიხედვით. შეიძლება ზოგიერთს ჰგონია, რომ გიორგის ღერბი სამეფო ღერბი იყოს. ეს გაუგებრობაა. უნდა მოგახსენოთ, რომ საქართველოს მეფეთა ღერბი, ბაგრატიონთა ღერბი არის სულ სხვა, ასე რომ ჩვენი რესპუბლიკანური სეინდისი უნდა დამ-



შეიღებულ იყოს, როცა გიორგის ვაკანონებთ რესპუბლიკის გერბად. ასეთი ასოციაციები თუ ვისმეს აქვს უნდა გაბათილებულ იქნეს. ჩვენ გვეუბნებიან, ისეთი გერბი უნდა დავხატოთ, ისტორიულად დავასურათხატოთ ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა საქართველოში. ჩვენ გვეუბნებიან ასეთ დერბისათვის შესაფერისი იქნება ამირანი, ბერძნული ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, იგივე პრომეთე. ირ. წყრეთელის აზრით, ეს იქნება სიმშლი იმ გაქირვებისა, იმ ტანჯვისა, რომელშიაც დაიბადა საქართველოს რესპუბლიკა და რომელშიაც გვიხლება ჩვენ ბრძოლა ურიცხვ მტრებთან. ჯერ ერთი უნდა მოვახსენოთ, რომ ჩვენ, ნაციონალისტებს, მაინცა და მაინც, საქართველოს ასეთი მდგომარეობა არ მიგვაჩნია საუკუნოებრივ მოვლენად, სასოროწარყვეთილების მოვლენად, რომ ასე ვიტიროთ. მუდამ სახელმწიფოს აშენების დროს, როგორც სტორიიან სხვა იდეოლოგიები, სხვა ლიდერები სხვა და სხვა ლოზუნგის და სხვა და სხვა ფრონტისა.

რასაკვირველია, საქართველო შენდება დიდის შეცდომებით, დიდის დავვიანებით, რომ ვიხმაროთ თქვენი სიტყვები. შეიძლება ეს ხდება ობიექტიურ პირობების გამოც, მაგრამ ასე თუ ისე, მაინც შენდება, და როგორ ვინდა აიძულოთ საქართველო და შემდეგ პარლამენტი და დააკანონოთ ის გერბი, რომელიც გამოხატავს კრიზისს, ტანჯვას, უიმედობას. ამირანი არის სიმბოლო მიჯაჭვული გმირისა, და როგორც ამბობენ ჩვენი შეცნიერნი განთავისუფლებულნი. ამირანი ერთგვარი ნიუანსი იქნება ესტეტიურის მხრივ. მთელი აზრი, *raison d'être* იმაში მდგომარეობს, რომ ამირანი არის მიჯაჭვული. ის იტანჯება.

ამირანი რომ გავხალოთ ჩვენს სახელმწიფო გერბად, ჩვენ გვეზინიან აქ არ იყოს ჩართული ის პოლიტიკა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას სამწუხარო მოვლენად სთვლიდა და ასეთ ეპისტოლეს სწერდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ცენტრალ კომიტეტს.

და კიდევ რომ მოხდეს ასეთი დაკანონება, რაც ფსიხოლოგიურად არ შეეფერება ჩვენს სახელმწიფოს, როგორ გნებავთ დაშვარონ ეს ჩვენმა შეზობელ სახელმწიფოებმა, თუნდა იქ საიდანაც ჩვენ ფულის სესხებს მოველით. ისეთი სახელმწიფო, რომელიც დაკავშირებულია თვით სახელმწიფოს სახელთან, რომელიც ერთნაირად გამოითქმება ინგლისურად, ფრანგულად და გერმანულად, — ვერ დაიმსახურებს თანაგრძობას, რომ აი ასეთი გერბი უარპყოს და მის მაგივრად თვის ფულზე გამოხატოს მიჯაჭვული ამირანი.

ჩვენ ეს, ამირანის სახელმწიფო გერბად დაკანონება ერთგვარ პოლიტიკურ აქტად მიგვაჩნია. უშრავლესობა, რომელიც აშენებს ჩვენს სახელმწიფოს სულ სხვა პერსპექტივებს ვანიცდის ამ იძულებით საქმის დროს. საერთოდ კი ტანჯვის კილოს შეტანა, რომელიც აიძულებს ბატონ ირ. წყრეთელს სწორედ ტანჯული ამირანი გვიჩიოს სახელმწიფო გერბად. მე მივჩნია ერთგვარ პოლიტიკურ ავადმყოფობად. ეს გახლავთ თუ არა მისი ინდივიდუალური თვისება. ყოველ შემთხვევაში ერთგვარი პოლიტიკური მოვლენა, რომლის გამოც ჩვენ ხალხს არ შეუძლიან ზმა არ მისცეს „კახიანი“, სახაზინო პარტიას. ეს არის უიმედო დაღლილობა, ყოველივე გლეხის წარმოდგენა მომავალში და არა კარგის. მე კიდევ გავიგებდი, რომ აქ საბჭოს უშრავლესობის პარტიიდან მოგვესმინა ოპტიმისტური პესსიმიზმი და არა ასეთი უკიდურესი პე-



სსიპისტორი. ამ შემთხვევაში ბატონი ნოე ყორღანია ოპტიმისტურ პესიმიზმის წყებას გკუთვნის. ნოე ყორღანია ქართველ ხალხს მისთვის სიას იმაში ზედებს, რომ იგი სოციალიზმს განახორციელებს კავკასიაში, მაშინ, როდესაც ირაკლი წერეთლის პესიმიზმობა იმდენს არაფერ კარგს არ მოეღის საქართველოსგან. ყოველივე შიდად არის შეღებილი მისთვის. უნდა ვსთქვა, რომ ასეთი შესიანობა არც ხალხში არის. იგი ისწრაფვის გამარჯვება-გამოღებებისკენ. მაგრამ ყოველ შემთხვევაში თუ ჩვენი სახელმწიფო უნდა გამოიყენოს შიდადგენის ყველა სხვა ქვეყნებთან, თუ თქვენ ხალხის ფსიხოლოგიას მისდევთ და ანგარიშს უწყევთ იმას, თუ რას ფიქრობს ხალხი, თუ თქვენ გინდათ დღევანდელ მდგომარეობის მიხედვით ყველაზე უფრო პოპულარული გერბი გამოიგონოთ; გარწმუნებთ, რომ ყოველ შემთხვევაში ამირანი არ ივარგებს ასეთ გერბად: დღევანდელ ჩვენი ქვეყნის ანარქიულ მდგომარეობას და ყაჩაღურ-ტყუარობის ინსტიტუტების გაბატონებას ყველაზე უფრო არსენა ომელაშვილი შეძლების, ან და რომელიმე მისი ანტიბოტი იმერეთში.

ეხლა მე მინდა ორი შენიშვნა შესახებ ამირანისა. ერთი, რომ ის არის ბერძნულიკითი, იგი გვხვდება მართალია სხვა და სხვა, მაგრამ არ ის, ბრწყინვალე ვარინტებში, მთავარი ღერძი ერთი თქმულებისა ის არის, რომ მიტომ დასაჯეს ღმერთებმა პრომე, რომ მან ღმერთები მოატყუა. იგი იყო შუამავალი ღმერთებსა და ხალხს შუა მსხვერპლის შეწირვის დროს, როდესაც მას მიანდეს მსხვერპლის გაყოფა ხორცი ტყავში გაახვია და ძვლები კი ქონით დაფარა, მას ეგონა, რომ ღმერთი ქონში გახვეულ ძვლებს ეტაკება და ხორცი ხალხს დარჩებაო. (ხმა მარცხნიდან: ხორცი ხომ ხალხს შეუნახა) დიხ, ხორცი ხალხისთვის შეინახა, და შეიძლება პრომეთეოსის სურვილი თავის თავად კარგი იყო დემოკრატიისათვის, მაგრამ უბედურება იმაშია რომ ზევსმა გაუგო მას ეს ყველაფერი და თუ მაინც დასთანხმდა და ქონიანი ძვლები წაიღო მხოლოდ იმიტომ, რომ შემდეგ მოტყუებისათვის შარი მოუღო, როგორც პრომეთეოსისათვის, ისე ხალხისათვის. ამისათვის იყო, რომ დასაჯა ხალხი ცეცხლის წართმევით, მერვე პრომეთეოსმა ცეცხლი მოიტაცა და ისევ დაუბრუნოს ხალხს, მაგრამ თვითონ კი საუკუნოდ მიჯაჭვეს კლდეზე. შეიძლება საქართველოს სოციალ-დემოკრატებს ჰგონია, რომ ასეთი სიმბოლო მოსაწონია მისი ისტორიული მოღვაწეობისათვის, მაგრამ ჩვენ აქ ვერაფერს მოსაწონს ვერ ვხედავთ. ახლა გაეხსენათ ქართველი პრომეთეოსი ამირანი, მაგრამ არც ის იყო ისეთი ბრწყინვალე რაინდი, როგორც იგი აქვს წირმოდგენილი წერეთელს. ხალხური გადმოცემით ამირანი იმიტომ დასაჯეს, რომ თავის ნათლიას იესოს წაეკიდაო (აღ. ლომთათიძე. პირველი მოგონება ჩემთვის). არის კიდევ ხალხური თქმულება იმერეთში, სადაც ამირანს ჰქვია „*Baba-ria*“ როკაბი.

გარდა ამისა არის კიდევ ერთი უფრო აკადემიური მოსაზრება. პროფესორი ხახანაშვილის გამოკვლევით ამირანი არის გადაქართულებული სპარსული მითოლოგიური არამანი — „ბოროტი სული“.

ეხლა, რაც შეეხება გიორგის ჩვენ ვიცავთ მას, როგორც ტრადიციას. ჩვენ ხალხს ეს ჰქონდა სახელმწიფო გერბად და სახელმწიფო გერბადვე უნდა დარჩეს.

ამბობენ, რომ ქართველ ხალხისათვის თეთრი გიორგი წმიდა გიორგი იქნება და წმიდა გიორგის კი. როგორც კლერიკალურ სიმბოლოს



ქართველი ხალხი არ მოიწონებს. მე ძალიან ვწყუბავარ, რომ იმყოფებოდნენ ხელთ ის ნომერი „გროზისა“ სადაც ეწერა ტუაფსეს ფრონტის წინააღმდეგ გვარდიის მოთხოვნილება. ტუაფსეს ფრონტზე ყოფილა თათბირი. სამხედრო მინისტრს მიეცა წინადადება, რომ ჯილდოს საკითხი გადაეწყვიტათ და აი წითელ გვარდიელები იტყობინებინათ: ჩვენ ჯვარი და შენდლები არ გვინდა, მთელს რაზმს ერთი რევალუციური დროშა გამოუგზავნათ შესაფერი წარწერით: შთავრებისაგან და წმიდა გიორგის ლენტით ნიშნად გვირობისა. არ ვაკი რა აზრისაა ამაზე საბრძოლო. შეიძლება იგი სხვა წარმოდგენისა, მაგრამ როგორც ხედავთ თვით რაზმში არის ისეთი გიორგოფობები ყოფილან.

საქართველოს სახელმწიფოს ტრადიციული ღერბი, რომ გიორგია, ეს რუსეთის ძირითად კანონებშიც იყო დაწერილი, იქ სადაც რუსეთის იმპერიის შემდგენელ სამეფოთა ღერბებია აღწერილი. და ეს მართო რუსეთში კი არა, მთელს ევროპაშიაც იცინ, სადაც საქართველოს სახელი „გიორგია“-თ ითარგუნება. თუ ვინმე მოინდომებს ჩვენი ქვეყნის გვრების შეტყობას, მას პირდაპირ იურიდიულ დოკუმენტში შეუძლიან ამის ამოკითხვა. ჩვენ ვიცავთ სახელმწიფოებრივ ტრადიციას და გათხოვთ გირჩევთ ნუ გვიღალატებთ და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც შევირჩინოთ ეს ტრადიცია და თეთრი გიორგი ჩვენს სახელმწიფო ღერბათ დავაკანონოთ.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის სებჭოს წევრს ფაღავას.

აკაკი ფაღავა. (ს. ფელ.) მატონებო, ყველა იმის შემდეგ, რაც მოისმინეთ ღერბის შესახებ, მე ბევრი ლაპარაკით თავს არ მოგაწყენთ. თავიდანვე, როდესაც ეს საკითხი დაისვა, ჩვენს ფრაქციაში პრინციპად იქმნა მიღებული ის თავისუფალი ხმის მიცემა, რომელიც დღეს სოციალ-დემოკრატების ფრაქციამ მიიღო, მაგრამ დიდმა უმრავლესობამ ჩვენი ფრაქციისა, მაინც მხარა დაუჭირა თეთრი გეორგის ღერბს. ყველა იმ მოსახრების გამო, რომელნიც თქვენ აქ მოისმინეთ.

მე მინდა ორიოდ სიტყვით მაინც მივაქციო თქვენი ყურადღება თ. ი. წერეთლის სიტყვას და გავხაზო ის რასაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბ. ირ. წერეთელი.

ბ. ირ. წერეთელს, მაინც და მაინც, ამირანი უნდა იმისთვის, რომ ის დღევანდელ მდგომარეობას დღევანდელ მომენტს სისწორით გამოსახავს. მე ვიტყვი: ეს ხანა წარმავალია. ჩვენი სურვილი ხომ არ არის, რომ მუდამ ამ ყოფაში დავჩნეთ. ჩვენი მისწრაფება, ჩვენი სურვილი არის ერთბელ მაინც განუთავისუფლდეთ, საცემბით განვთავისუფლდეთ ასეთ მდგომარეობიდან. როდესაც ეს სანეტარო ეამი საქართველოს, ქართველ ხალხს და ქართველ დემოკრატის დაუღგება ეს ემბლემა დაჰკარგავს თავის აზრს, მე კი მგონია, რომ ღერბის ემბლემა არის, და უნდა იყოს, უფრო მხრადიული, ვინაიდან ეს ემბლემა ჩვენ ხალხს, ჩვენს ერს მოსდევს ძველი დროდან საუკუნოებიდან, ჩვენ მხარი უნდა დაუჭიროთ იმას, და ეს მხრადიული ემბლემა უნდა განვავარდოთ მომავალში, მით უფრო რომ არსებობს თავის იდეით უფრო ზოგადი და მხრადიული არის ვიდრე ამირანი.

აქ არის იდეა ბრძოლისი სიკეთისა, სინათლისა—ბოროტებისთან. და ეს იდეა, ეს აზრი მუდამ დარჩება, ვიდრე არსებობს კაცობრიობა. შემდეგში როდესაც თავისუფლება დამკვიდრდება, ეს აზრი, ეს ემბლემა მაინც დარჩება, ვინაიდან ჩვენი ცხოვრები არის ბრძოლა მერმისის-

თვის. უიუკეთესის, რა გვარ მდგომარეობაში არ უნდა ჩავთვალოთ და კაცობრიობა, ეს მარადიული აზრი უუქველად დარჩება. — ბოძოლო სიკეთისთვის და სინათლისათვის მუდამ იქნება, ვიდრე არსებობს ადამიანი. ამ მხრივ როგორც უფრო მარადიულ იდეას ჩვენ მხარს უჭერთ თეთრ გიორგის გამოსახულებას, მით უფრო, რთა ეხლა, ამ ქაშათ სწორეთ ჩვენ გვინდა ამ გმირთა შექმნილი მდგომარეობა შეუღლოთ გიორგის გამოსახულებას. ჩვენ მოვახდინეთ რევილიუცია, ესე იგი გარდაქმნით ცხოვრება: იგივე უნდა მოვახდინოთ. ამ ემბლემის საკითხში ჩვენ გვინდა გარდავქმნათ იგივე გიორგი: საქრისტიანო ხანაში გიორგის გაუკეთეს ჯარი, შარაიანდელი და სხვა ატრიბუტები. დღეს სხვა ხანაში ვართ, სხვა იდეები სხვა დრო არი, ჩვენ მას სათანადო გამოსახულებას ვაძლევთ. დღეს რჩება ის, რაც ქრისტიანობასთან დაკავშირებული არ იქნება. ძირითადად გიორგი რჩება სპეტაკ მებრძოლ რაინდად სიმათლისა და სიკეთისათვის ამირანას გამოსახულება, ისე როგორც პ. ი. წერეთელს წარმოუდგენია, როგორც აქ გამოირკვა არ არის წმინდა ქართველი ხალხური გმირი. იგი გადმოტანილი არის საბერძნეთიდან, ზღაპრებში არის დასახული. ამას თავი უნდა დაფანტეთ. გამოქანდაკება იმისა, რასაც თავის ძლიერ სიტყვაში ამბობს ი. წერეთელი, როდენს რომ ეკისრნა უქველთა დიდებული ქანდაკება იქნებოდა, მაგრამ გამოირკვა, რომ ის, რის გამოც ქმაც თათბირზე შეიძლება, ყოვლად შეუძლებელია მივიღოთ ამ ღერბზე გამოსახატავად.

ბატონებო, არსებითად გამორკვეული არი გეროლდიკა, რომელსაც აქვს თავისი კანონები თუ ეს კანონები საერთაშორის ცნობილია და მიღებულია, ჩვენი ღერბიც ამ კანონებს უნდა აქვე მდებარეობდეს.

თუნდაც რომ ამას თავი დაფანტეთ და დაფანტოთ ესტეტიკურ თვალსაზრისით, ვაცილებით უფრო უუკეთესი იქნებოდა რომ გიორგის გამოსახულება შეიქმნას, ვიდრე ამირანისა, რადგანაც ისტორიული ტრადიციის მიხედვით, გამოსახულება თეთრი გიორგისა მკიდროდ არის ქართულ ერთან, ქართველ ხალხთან, და თითონ ქართველ დემოკრატიასთან ფსიქოლოგიურად დაკავშირებული, ვინაიდან ეს უფრო მარადიული ემბლემა არის, ესტეტიურად უფრო დამაკმაყოფილებელი, ვინაიდან ჩვენი პირობების წყალობით, რომლებშიც ვარსებობთ, ისტორიულის, გეოგრაფიულის, რიცხვით, ჩვენი სიკოტავის და სხვა და სხვა პირობების გამო, ჩვენ ვიყავით, ვართ და მომავალშიც მებრძოლ ვრად დავრჩებით. ჩვენ განსაკუთრებული ბოძოლო გვექრდება. ჩვენს ისტორიაში არ გვაქვს არც ერთი ისეთი დიდი ხანა, როდესაც ბრძოლიდან დასვენებულნი გყოფილიყავით. ჩვენ ბატარა ერი ვიყავით, ყველა გვემიტებოდა და მუდამ მტრის მოგერება გვექრებოდა. უუქველია დღესაც და მომავალშიაც დაგვექრება და უკეთეს ემბლემას ღერბისა, ემბლემას ბრძოლისას ვერ წარმოადგენთ ვარდა თეთრი გიორგისა. ყველა ამ მოსაზრების გამო უმრავლესობა სოციალ-დემოკრატების ფრაქციისა მხარს უჭერს თეთრი გიორგის გამოსახულებას, შეიდი მნათობით, როგორც ემბლემას განახლებულ საქართველოსი, დამოუკიდებელ რესპუბლიკისა.

თავმჯდომარე ორატორთა სია ვათავდა, რადგანაც სხვა წინადადება არ არის კენქს უყრი წინადადებას, რომელიც არის წარმოდგენილი



უკანასკნელად სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს და მასვე წყვეტს სიტყვაში.

კონ. მაყაშვილი. (დამ კავ.) ბატონებო, უკაცრავად რომ გაწუხებთ, მაგრამ შეუძლებელია პასუხი არ გავსცე ბ. წყვეთელს, ეს ძალიან ძნელია, რადგანაც დიდი თორატორი მე არ ვახლავართ. საქმე იმაშია, რომ მე გვერდი აუხვიე სრულიად ამირანს, მხოლოდ იმიტომ, რომ გაგონილი გექონდა, რადგანაც ერთად გექონდა კომისიას კრება და გამორიკვა, რომ ამირანი უკუ გდებული არის ლერბზე გამოსახატავად. მაგრამ, რადგანაც აქ ილხაზარაკეს ამაზე, ნება მიბოძეთ შეგანეროთ და მოგახსენოთ, რომ აქ ერთგვარი გაუგებრობა არის. ზოგნი უპირდაპირებენ ამირანს პრომეთეს. ეს მართალი არ არის. უნდა ვიცოდეთ სამუდამოდ, რომ ეს მართალი არ არის. ამითი უნდა დაეწყოს, რომ შემდეგში ამაზე არ გაჩერდეთ.

ამირანი საზღაპრო გმირია, ნახევრად ლმერთი არის, რომელიც გამოსახავს ყოფილ ერთ ერთ ეკლესიის დამასურათებელს საქართველოში. ეს გმირი დაჯილდოვებული არის საოცარი ღონით, 9 უღელ კამჩის და 12 უღელ ხარის ოღენა ძალით მოსილი. ბუმბერაზი, ვოლიათი არის, ამასთანავე ქრისტეს ნათლული. ამასთანავე მას ბევრი ვასაოცარი საქმეები ჩაუღენია, მას ბევრი ვეშაპი და მტერი გაუწყვეტია და ბოლოს იქამდინ გავდნიერებულა, რომ თავის ნათლიასთან, ქრისტესთან მოუსურვებია კიდაობა და ამისათვის იყო დასჯილი, სხვა ვადმოცემა ამაზე უფრო ვეცნია, იგი ამბობს, რომ ამირანი ისე გაამართავდა რომ ქრისტე ლმერთის თავდებობაზე უფრო ჰყო და ქრისტე ლმერთმა ამაზე დასაჯა. აი: ბატონებო, გულდასმით მოისმინეთ ეს. ჩვენში არის ამირანი ამ ვადმოცემით, ქართველ ხალხში, ქართლში, კახეთში არსებობს ამ გვარი ვადმოცემა. ამ გვარად ხალხის თვალში ეს დანაშაულობა — რომ ქრისტეს დაეჭადა და ქრისტე და ლმერთის თავდებობა გატება ეს სანაქებო და სასახელო არ არის.

სულ სხვა არის ბატონებო პრომეთე. პრომეთემ მოიტაცა ცეცხლი და აღამიანებს მისცა. მისცა იმისთვის, რომ უნდოდა აღამიანები გაგბედნიერებინა, ქვეყნიერება გაეებდნიერებინა. აქ დანაშაულობა თითქმის ლამაზი არის, მაშასადამე სასჯელი, რომელიც მიიღო უსამართლოდ არის მიჩნეული ხალხის მიერ, ბერძნების მიერ. აქ ჩვენ ამირანს არავითარი ცეცხლი არ მოუტაცებია. თქვენ კარგათ მოგახსენებთ სხვა და სხვა ვადმოცემები არის; თუ ჩვენ მაინც და მაინც გვინდა რაიმე სხვა სახელი მივცეთ ამისდა მიხედვით, ან ამირანი, ან სხვა რამე — ეს მაინც ყოველად შეუძლებელია.

თქვენ კარგად მოგახსენებთ, რომ სხვა და სხვა მწერლობის და პოეტების ფანტაზიას საზღვარი არა აქვს. კარგათ მოგახსენებთ, რომ იუდა ისკარიოტელს რომელსაც, აღბად გუხსომებთ, თუ რა სახე აქვს საქრისტიანოში, რა სახე მისცეს სხვა და სხვა მწერლობაში. თითქმის იდეალურ პიროვნებად აღიარეს. აქი მოგახსენეთ, რომ პოეტს ყველა შეუძლიან. მაგრამ, როდესაც საბელწიფოს გერბად იღებენ რაიმე იდეალის გამოსახულებას, რაიმე ტრადიციაზე უნდა დამყარებული იყოს სჯა. როგორც მოგახსენებთ ვერც ერთ ვადმოცემაში ამირანი არ არის მიჩნეული, როგორც დიდი გმირი. ამბობენ ცეცხლი მოიტაცა, აღ-



მიანები გააბედნიერა, ხალხის თვალში დიდი გმირი იყო, მაგრამ სისულელე ჩაიდინა და დასჯილი იყო ისე, რომ სასჯელი ხალხის თვალში საპართლიანი იყო. პართალია ხალხი, როგორც ვულ შემატკივარი ვერ ითმენს იმას, რომ ამდენი ხანი ეს გმირი ისჯება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში სასჯელი საპართლიანათ მიაჩნია.

ყოველ შემთხვევაში პრიორიტეტი გერბის საკითხში ეკუთვნით ბერძნებს, მაგრამ ბერძნებმა მაინც არ დასაბეს იგი სახელმწიფოს გერბად, იმათ დასახეს თილოსოფიის, მეცნიერების ემბლემად. ჩვენ შეგვიძლიან განსაკუთრებული გერბი ამირანისა გამოვისაზოთ და მივცეთ ქართულ უნივერსიტეტს, განათლების სამინისტროს და პუბლეკებს, მაგრამ სახელმწიფოს გერბად ყოველად შეუძლებელი არის მისი მიღება.

მეორე ის, რომ განთავისუფლებული ამირანი ხალხის წარმოდგენაში არ არსებობს. ხალხის წარმოდგენაში არსებობს მხოლოდ მიჯაჭვული ამირანი და თქვენ, რომ ხალხს განთავისუფლებული ამირანი დაუსაბოთ ის იტყვის—ეს ჩვენი ამირანი არ არისო, ჩვენი გერბი არ არისო და შეიძლება ვერც გაიგოს ვინ არის. რაც შეეხება მიჯაჭვულ ამირანს, წარმოიდგინეთ ჩვენი მხედარი მიდის წინ რამში, მიგჩქარება და დროშაზე მიჯაჭვული ამირანია გამობატული რა ნდობას და რა სიმბნევს მისცემს ეს მიჯაჭვული ამირანი, მხედარს, თქვენ გაიფიქრებდით.

ამიტომ, ბატონებო, მე ვამბობ, ამირანის გამოსახვა გერბზე ყოველად შეუძლებელია.

მე თითონ დიდი პატრიმტეპელი ვახლავარ ამირანისა, ცოტაოდენი პოეტის ვახლავარო, ზოგიერთის აზრით, ბევრი აღფრთოვანებული ლექსი დამიწერია, მაგრამ მაინც ყოველად შეუძლებელათ მიმაჩნია, რომ სახელმწიფოს გერბზე იყოს გამოსახული ამირანი.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი, რომ გადავიდეთ მუხლობრივ განხილვაზე. არაფინ. გთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი.

კ. შაუაშვიდი. (კითხულობს).

საქართველოს რესპუბლიკას აქვს თავისი სახელმწიფო გერბი.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი პირველი მუხლისა? არაფინ. მაშასადამე პირველი მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ მეორე მუხლი.

კ. შაუაშვიდი. (კითხულობს მეორე მუხლს).

გერბზე უნდა იყოს გამოსახული მეთრი გიორგი და შვიდი მნათობი.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი მეორე მუხლისა, რომელიც კომისიამ წარმოადგინა? ვის მსურს ამ მუხლზე ლაპარაკი? არაფის. კამათი მოსპობილი არის.

არ. წერეთელი. შეიძლება წაიკითხოთ შესწორება? (ხმაურობა).

თავმჯდომარე. კენჭს უყრი საერთო კანონ-პროექტს.

არ. წერეთელი. რეგლამენტის დარღვევის გამო.

თავმჯდომარე. მოვკეშოთ სიტყვას, როცა გადავალთ... ვინ არის წინააღმდეგი?... (ხმაურობა). აი საქმე რაში ვახლავთ. მე არ ვიცი რა აქვს სახეში საბჭოს წევრს წერეთელს, როცა მსურს სიტყვა მიიღოს რეგლამენტის დარღვევის შესახებ. ამის შემდეგ მე რასაკვირველია სიტყვას მოვკეშოთ, მაგრამ აქ არის მეორე წინადადება, რომ იყოს არა გიორგი არამედ ამირანი. ეს აქ აეტორს შესწორება, მიაჩნია, ეს შესწორება კი არ არის, ეს არის უარყოფა კომისიის წინადადებისა. ამისდა მიხედვით, კენჭი უნდა უყარო, თუმც ასეთი შემთხვევა არ გვექონია, მაგრამ რადგან



ნაც ორი საკითხია, კენჭი უნდა ვუყარო ზეორე წინადადებას. ვინ არის მომხრე იმ წინადადების, რომ ზეორე აზრი იყოს მიღებული? ზეორე წინადადება ისე იგი ამირანი უარყოფილი არის. (ხმაურობა. თავმჯდომარე ზარს რეკს. Простите пожалуйста) უკაცრავად ბატონებო, საბჭოს წევრნო. მე პირველად უყარე კენჭი კომისიის აზრს და მოხდა ასეთ ნაირად, რომ ვერ დასთვალეს კარგად ხმების რაოდენობა. ამიტომ გთხოვთ ასწიოთ ხელეები და გააჩეროთ. (ვეშაპელი:—მიჯაჭვეთ. შაპაბელი: ფეხზე აღვამით.) ვერ გიბედავთ ბატონებო, თორემ დიდი სიამოვნებით. გთხოვთ აბრძანდეთ ვინც მომხრე არის ამირანისა. (ქვესტორს) გთხოვთ დაითვალით ვინ არის წინააღმდეგი ამირანისა გთხოვთ დაითვალოთ.

შეიძლება ვინმემ თავი შეიკავა: გთხოვთ აბრძანდეთ. (დგებიან ნუკუბიძე და ფირცხალავა.) ამ რიგად, ნება მიბოძეთ, მოვახსენოთ შედეგი ამ კენჭის ყრისა.

გიორგიმ შიილო 33 ხმა, წინააღმდეგ გიორგისა აღმოჩნდა 17. ორმა შეიკავა თავი. ამირანის მომხრე აღმოჩნდა 16, მხოლოდ წინააღმდეგი 34. ამ რიგად გაიმარჯვა გიორგიმ. (ხმები გაუმარჯოს გიორგის!) ვინ არის წინააღმდეგი მთელ კანონპროექტის? ამ რიგად კანონპროექტი მიღებულია და გადაცემა სარედაქციო კომისიას. ეხლა კრებას ვხურავ.

კრება იხურება 4 საათსა და 25 წუთზე.

რედაქტორი ს. აბრდანიშვილი.